# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 20 სექტემბერი. 2023 წ. №106 (9638) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


„ხალხის ძალა“

# საქართველოს გეოსტრატეგიული გასაჭირის ნამდვილ ისტორიას წერს!



## უფრო ფხიზლად და ჭკუით ვიყოთ, ქართველებო!

**საქართველოდან კელი დეგნანის წასვლას ქართველ საზოგადოებაში ფართო სიხარული მოჰყვა. გაჩნდა იმედი, რომ ქვეყანა ახლა მაინც დამშვიდდებოდა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები თავიდან დალაგდებოდა, თუმცა, სიხარული შესაძლოა, ნაადრევი იყოს, რაზეც ახალი ელჩისა და მისი მოადგილის ბიოგრაფიები მიგვანიშნებს,** – ამის შესახებ აღნიშნულია „ხალხის ძალის“ განცხადებაში.

როგორც „ხალხის ძალის“ განცხადებაშია აღნიშნული, ელჩი რობინ დანიგანი უშუალოდ იყო ჩართული „მაიდნის“ რევოლუციის ორგანიზებაში, მას ახლო ურთიერთობები აკავშირებს როგორც ნულანდთან, ისე ერმაკთან და არახამიასთან. **„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელა, მაგრამ მას არ უთქვამს მთავარი – ვინ დგას ამ ყველაფრის უკან. ცხადია, ოპოზიციას დამოუკიდებლად არავითარი არეულობის მოწყობის რესურსი არ აქვს. თუმცა საქმეში ჩახედული კაცისთვის ისიც ცხადია, რომ ქვეყნისა და ხელისუფლების მთავარი მტრები არა კეზერაშვილი, ხაზეიშვილი, ვაშაძე ან ლომჯარია, არამედ მათი უცხოელი პატრონები არიან.**

**დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს ამერიკის ხელისუფლებაში „გლობალური ომის პარტიის“ გავლენები შესუსტდა, რაც მსოფლიო პოლიტიკაზეც დადებითად აისახა. 2016-20 წლები იყო გამონაკლისი, როდესაც ამერიკის ჩართულობით მსოფლიოში ომები არ მომხდარა და ამერიკისთვის საინტერესო (განსაკუთრებით, ნავთობით მდიდარ) ქვეყნებში რევოლუციური პროცესები შეჩერდა. თუმცა ტრამპის მარცხის შემდეგ „გლობალურმა ომის პარტიამ“ ამერიკის ხელისუფლებაზე გადამწყვეტი გავლენა დაიბრუნა და მსოფლიოც კიდევ ერთხელ საფუძვლიანად აირია. იმედი გვაქვს, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს ამერიკაში რესპუბლიკელები მოიგებენ, რაც მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარების რელსებზე დააბრუნებს.**

**საქართველოშიც ქვეყნის არევის სცენარი სწორედ ამერიკაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამოქმედდა. იმავე პერიოდში ჩაანაცვლა კელი დეგნანმა კარლ ჰარცელი „გლობალური ომის პარტიის“ ელჩის თანამდებობაზე. სწორედ მათ უწოდეს ოპოზიციის საბოტაჟს „პოლიტიკური კრიზისი“ და „ქართული ოცნება“ აიძულეს, 43-პროცენტიან ბარიერს დათანხმებულიყო და ქვეყანა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების რისკის წინაშე დაეყენებინა. ამ ყველაფერს ერთადერთი მიზანი ჰქონდა – რუსეთის წინააღმდეგ ფრონტის ხაზი ოდენ ერთი, არამედ ორი ქვეყნიდან უნდა გაშლილიყო.**

**თუმცა, „გლობალურ ომის პარტიას“ ყველა რევოლუციური გეგმა ჩაეშალა: არჩევნების გაყალბების ვერავითარი მტკიცებულება ვერ დადეს და პარალელური ხმის დათვლის შედეგების გაყალბება იქით გაუმჟღავნდათ, ხელისუფლებამ მოლაპარაკებები სწორად წაიყვანა და „ნაცმოძრაობას“ ცესკო, სასამართლო და პროკურატურა არ ჩააბარა, უკრაინის ხელისუფლების დახმარებით საქართველოში შემოპარებული სააკაშვილი ქართველმა ძალოვნებმა დაიჭირეს და საბოლოოდ, „ქართულმა ოცნებამ“ თვითმმართველობის არჩევნებში 43-პროცენტიანი ბარიერიც დიდი სხვაობით გადალახა.**

**რევოლუციური გეგმა შარშან, ივნისშიც ჩავარდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მსოფლიო გმირად გამოცხადებულ ზელენსკის საქართველოდან ელჩი გააწვევინეს, ხოლო შემდეგ ევროკავშირს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარი ათქმევინეს.**

**იმ პირობებში, რომ ვერც ხელისუფლება შეცვალა და ომზე ვერც მოქმედი ხელისუფლება დაითანხმა, ბუნებრივია, გლობალური ომის პარტია ყველაფერს გააკეთებს, რომ ორი ფრონტის სცენარის ჩაშლისთვის ხელისუფლებაზე შური იძიოს და ხელისუფლებაში საკუთარი აგენტურა დააბრუნოს.**

იხ. 2 გვ.




# ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე!

**საქართველოს პროკურატურა განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ბოლო დღეებში, დეზინფორმაციის კამპანიის ფარგლებში, მრავლად გავრცელდა სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური განცხადებები ოთარ ფარცხალაძის ვითომდა კავშირებზე საქართველოს პროკურატურასთან.**

„მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს, გამოვეხმაუროთ ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლების მხრიდან, საქართველოს პროკურატურის მიმართ დეზინფორმაციის განახლებული კამპანიის წამოწყებას, რომლის მიზანიც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციის მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობა, რათა დეზინფორმაციის გავრცელებით საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში და ხელი შეუშალონ ამ უწყების ნორმალურ საქმიანობას.

იხ. 6 გვ.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

# „ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებები“

## გივი გავარდაშვილი:

მეცნიერული ინოვაციური გამოცდილებით და ამ გამოცდილებების პრაქტიკაში დანერგვით ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ბუნებრივი კატასტროფებისგან მისი პროგნოზირებისა და რისკების გამოთვლა-რეგულაციით.



იხ. 7 გვ.

# ანტიტერორისტული ოპერაცია თუ ახალი ომი ყარაბაღში?



აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ ყარაბაღში ლოკალური ანტიტერორისტული ღონისძიებების დაწყების შესახებ განაცხადეს. უწყებაში განმარტავენ, რომ ოპერაციის მიზანი კონსტიტუციური წყობის აღდგენაა და დარტყმები მხოლოდ სამხედრო ობიექტებზე განხორციელდება. მშვიდობიანი მოსახლეობა და ინფრასტრუქტურული ობიექტები თავდასხმის სამიზნე არ გახდება.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ გუშინ ყარაბაღის ერთ-ერთ სოფელში ნაღმის აფეთქების შედეგად აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელი გარდაიცვალა. აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, რომ ნაღმი სომხმა სამხედროებმა განათავსეს და მომხდარზე საქმე აღძრეს. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო ყარაბაღში მცხოვრებ სომეხ მოსახლეობას მოუწოდებს, არ მიუახლოვდნენ სამხედრო ობიექტებს და არ დაუჭირონ მხარი სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს.

# უფრო გაბედულად ვიმოქმედოთ, ქართველებო!

(პირველი გვერდიდან)

...რევოლუციური გეგმის ადგილობრივი სუბიექტები უკვე გამოკვეთილია: უცხოური აგენტურა, კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, ანუ რადიკალური ოპოზიციური პარტიები – „ნაცმოძრაობა-ვაშაძე“, „ლელო“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი-დროა“, გახარიას და ლომჯარიას პარტიები; სალომე ზურაბიშვილი; სამი პარტიული ტელევიზია; ყველაზე მდიდარი ენჯეოები, განსაკუთრებით – „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“; ექსტრემისტული ახალგაზრდული დაჯგუფებები – „სირცხვილია“, „ფრანკლინის კლუბი“ და სხვ. გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე ხდება 500-მდე აქტივისტის გადამზადება, ასევე განიხილება რევოლუციურ სცენარში უკრაინაში მებრძოლი 400-მდე ქართველის ჩართვაც.

აგენტების შესახებ კანონის ჩავარდნის მიუხედავად, საზოგადოებამ უკვე გაიგო, რომ ექსტრემისტული პარტიების, ტელევიზიების, „ენჯეოებისა“და სხვა დაჯგუფებების საქმიანობა თავიდან ბოლომდე ამერიკული წყაროებიდან ფინანსდება. დაფინანსების ამერიკული წყაროა კეზერაშვილიც, რომელიც „გლობალურ ომის პარტიას“ ერთდროულად ორ საქმეს უკეთებს – საქართველოში რევოლუციას აფინანსებს და ევროპელ პენსიონერებს ძარცვავს, რითაც ისედაც დასუსტებულ ევროპას დამატებით პრობლემებს უქმნის.



გარედან მართული რევოლუციები მარტივი სქემით წარიმართება, შემოგაქვს ხელისუფლების არალეგიტიმურობის „ნარატივი“, ახდენ ძალოვანი სტრუქტურების დისკრედიტაციას და წინასწარ მომზადებული აგრესიული ჯგუფების მეშვეობით აორგანიზებ აქციებს და დაუმორჩილებლობას“, – აცხადებენ „ხალხის ძალის“ წევრები.

# ... არაფრისმომცემ სტატუსს იმ შემთხვევაში მოგვცემენ, თუ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობას“ დავაბრუნებთ



**საქართველოშიც ქვეყნის არევის სცენარი სწორედ ამერიკაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამოქმედდა. იმავე პერიოდში ჩაანაცვლა კელი დეგნანმა კარლ ჰარცელი „გლობალური ომის პარტიის“ ელჩის თანამდებობაზე.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გუშინ გავრცელებულმა ინფორმაციამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ, რადიკალური ოპოზიციის უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, ყურადღების მოდუნება ერთი წამითაც არ შეიძლება. მეტიც, სწორედ იმის გამო, რომ რადიკალური ოპოზიცია ასეთი მოშლილი და დასუსტებულია და საპარლამენტო არჩევნების მოგების არავითარი შანსი არ აქვს, ის და მისი პატრონები არჩევნებამდე და მის შემდეგ ყველაფერ უკადრებელზე წავლენ...

ისიც ლოგიკურია, რომ ისინი თავდაპირველად აქცენტს სწორედ ოქტომბერ-ნოემბერზე გააკეთებენ და ეცდებიან, ქვეყნის არევის საბაბად ევროკომისიის დასკვნა გამოიყენონ, რომლის შინაარსიც, როგორც ჩანს, ახლაც წინასწარ იციან. საქართველოშიც ქვეყნის არევის სცენარი სწორედ ამერიკაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამოქმედდა. იმავე პერიოდში ჩაანაცვლა კელი დეგნანმა კარლ ჰარცელი „გლობალური ომის პარტიის“ ელჩის თანამდებობაზე. სწორედ მათ უწოდეს ოპოზიციის საბოტაჟს „პოლიტიკური კრიზისი“ და „ქართული ოცნება“ აიძულეს, 43-პროცენტიან ბარიერს დათანხმებულიყო და ქვეყანა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების რისკის წინაშე დაეყენებინა. ამ ყველაფერს ერთადერთი მიზანი ჰქონდა – რუსეთის წინააღმდეგ ფრონტის ხაზი არა ერთი, არამედ ორი ქვეყნიდან უნდა გაშლილიყო.

თუმცა „გლობალურ ომის პარტიას“ ყველა რევოლუციური გეგმა ჩაეშალა: არჩევნების გაყალბების ვერავითარი მტკიცებულება ვერ დადეს და პარალელური ხმის დათვლის შედეგების გაყალბება იქით გაუმჟღავნდათ, ხელისუფლებამ მოლაპარაკებები სწორად წაიყვანა და „ნაცმოძრაობას“ ცესკო, სასამართლო და პროკურატურა არ ჩააბარა, უკრაინის ხელისუფლების დახმარებით საქართველოში შემოპარებული სააკაშვილი ქართველმა ძალოვნებმა დაიჭირეს და, საბოლოოდ, „ქართულმა ოცნებამ“ თვითმმართველობის არჩევნებში 43-პროცენტიანი ბარიერიც დიდი სხვაობით გადალახა.

რევოლუციური გეგმა შარშან, ივნისშიც ჩავარდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მსოფლიო გმირად გამოცხადებულ ზელენსკის საქართველოდან ელჩი გააწვევინეს, ხოლო შემდეგ ევროკავშირს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარი ათქმევინეს. იმ პირობებში, რომ ვერც ხელისუფლება შეცვალა და ომზე ვერც მოქმედი ხელისუფლება დაითანხმა, ბუნებრივია, „გლობალური ომის პარტია“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ორი ფრონტის სცენარის ჩაშლისთვის ხელისუფლებაზე შური იძიოს და ხელისუფლებაში საკუთარი აგენტურა დააბრუნოს.

საქართველოდან კელი დეგნანის წასვლას ქართველ საზოგადოებაში ფართო სიხარული მოჰყვა. გაჩნდა იმედი, რომ ქვეყანა ახლა მაინც დამშვიდდებოდა და ქართულ- ამერიკული ურთიერთობები თავიდან დალაგდებოდა. თუმცა სიხარული შესაძლოა, ნაადრევი იყოს, რაზეც ახალი ელჩისა და მისი მოადგილის ბიოგრაფიები მიგვანიშნებს. ორივე მათგანი ვიქტორია ნულანდის კადრია, ნულანდი კი ის ქალბატონია, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო დეპარტამენტში „გლობალური ომის პარტიის“ ხაზის მთავარი გამტარებელია და სისხლიანი ომებისა და რევოლუციების მიმართ განსაკუთრებული ენთუზიაზმით გამოირჩევა. ის გახლდათ უკრაინული „მაიდნის“ სულისჩამდგმელიც. თავის დროზე ნულანდი იყო სააკაშვილის ყველაზე აქტიური ლობისტი, რომელსაც, როგორც ჩანს, 2008 წლის ომის გამო განსაკუთრებულად ემადლიერებოდა. თავად მომავალი ელჩი, რობინ დანიგანი უშუალოდ იყო ჩართული „მაიდნის“ რევოლუციის ორგანიზებაში. მას ახლო ურთიერთობები აკავშირებს როგორც ნულანდთან, ისე ერმაკთან და არახამიასთან, რომლებიც უკრაინაში „გლობალური ომის პარტიის“ დავალებების მთავარი ამსრულებლები არიან. რაც შეეხება ელჩის მოადგილეს, ალან პარსელს, ის „მაიდნის“ დროს ამერიკის საელჩოში პოლიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა და აშკარაა, რომ საქართველოში ისიც სწორედ მისი რევოლუციური გამოცდილების გამო გამოუშვეს.

აგენტების შესახებ კანონის ჩავარდნის მიუხედავად, საზოგადოებამ უკვე გაიგო, რომ ექსტრემისტული პარტიების, ტელევიზიების, „ენჯეოებისა“ და სხვა დაჯგუფებების საქმიანობა თავიდან ბოლომდე ამერიკული წყაროებიდან ფინანსდება. დაფინანსების ამერიკული წყაროა კეზერაშვილიც, რომელიც „გლობალურ ომის პარტიას“ ერთდროულად ორ საქმეს უკეთებს – საქართველოში რევოლუციას აფინანსებს და ევროპელ პენსიონერებს ძარცვავს, რითიც ისედაც დასუსტებულ ევროპას დამატებით პრობლემებს უქმნის“, – აღნიშნულია ხალხის ძალის განცხადებაში.

„ამგვარი სქემებით, „გლობალური ომის პარტიის“ ინტერესების კარნახით მოქმედმა ამერიკულმა ადმინისტრაციებმა უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანეს არაერთი ქვეყანა, მათ შორის სირია, ერაყი, ლიბია, იემენი და უკრაინა:

ე.წ. არაბული გაზაფხულის შემდეგ სირიის ეკონომიკა 21-ჯერ შემცირდა, ნახევარ მილიონზე მეტი სირიელი ომს შეეწირა, ხოლო 13 მილიონზე მეტი ლტოლვილად ან დევნილად იქცა;

ერაყის ორ ომს ჯამში მილიონზე მეტი ადამიანი შეეწირა. 1990 წელს ერთ სულ მოსახლეზე ერაყის ეკონომიკა 10 ათას დოლარზე მეტი იყო, რითიც ის საბერძნეთს, პორტუგალიას და ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყანას უსწრებდა. დღეს ერაყი ღარიბი ქვეყანაა, მის ნავთობს კი „გლობალური ომის პარტია“ დაეპატრონა;

ლიბიის ომს 15 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა, ქვეყნის ეკონომიკა 94-დან 44 მილიარდ დოლარამდე შემცირდა და აქაც ქვეყნის ნავთობს „გლობალური ომის პარტია“ დაეპატრონა;



**ნულანდი ის ქალბატონია, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო დეპარტამენტში „გლობალური ომის პარტიის“ ხაზის მთავარი გამტარებელია და სისხლიანი ომებისა და რევოლუციების მიმართ განსაკუთრებული ენთუზიაზმით გამოირჩევა.**

იემენის 2011-12 წლების ე.წ. ღირსების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა სამჯერ შემცირდა და დღეს იემენი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღატაკი ქვეყანაა;

„მაიდნის“ რევოლუციამდე უკრაინა იყო ერთიანი სახელმწიფო, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა სწრაფი ტემპით იზრდებოდა და მან 2013 წელს 190 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. რევოლუციიდან 10 წლის თავზე კი უკრაინას ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს დაკარგული, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა 30 მილიარდი დოლარითაა შემცირებული. რევოლუციის დასრულებასთან ერთად დაიწყო რუსეთ-უკრაინის პირველი ომი, რასაც 8 წელიწადში მეორე ომი მოჰყვა. „მაიდანს“ – 100-ზე მეტი, ხოლო ომებს მრავალი ათეული ათასი უკრაინელის სიცოცხლე შეეწირა.

ყველას გვახსოვს, რომ ზემოაღნიშნული რევოლუციები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სახელით ეწყობოდა. თუმცა რეალობა ისაა, რომ ყველა ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობაც დღეს ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე თუნდაც რევოლუციებამდე იყო.

ისიც ყველას გვახსოვს, თუ როგორი დემოკრატია და ადამიანის უფლებები მოგვიტანა „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოში: სასამართლოს და ძალოვანი სტრუქტურების სრული მიტაცება ხელისუფლებაში მოსული უცხოური აგენტურის მიერ, ციხეების გადავსება, ადამიანების წამება და არაადამიანური მოპყრობა, ბიზნესის რეკეტი, მედიის მიტაცება და სრული მონოპოლიზაცია, ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა, ომს შეწირული 400-ზე მეტი ადამიანი და 30 ათასი ახალი დევნილი – ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ უბედურებისა, რომელიც საქართველოს სააკაშვილის რეჟიმმა დამართა.



**მომავალი ელჩი რობინ დანიგანი უშუალოდ იყო ჩართული „მაიდნის“ რევოლუციის ორგანიზებაში. მას ახლო ურთიერთობები აკავშირებს როგორც ნულანდთან, ისე ერმაკთან და არახამიასთან, რომლებიც უკრაინაში „გლობალური ომის პარტიის“ დავალებების მთავარი ამსრულებლები არიან.**

დღეს კი თავხედურად გვეუბნებიან, რომ არაფრისმომცემ კანდიდატის სტატუსს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემენ, თუ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობას“ დავაბრუნებთ. „გლობალური ომის პარტიის“ სურვილია, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სახელით ხელისუფლებაში ის ძალა დაგვიბრუნოს, რომელიც საქართველოში დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს საბოლოოდ დაასამარებს, რაზეც მას გარედან უპირობო მწვანე შუქი ექნება ანთებული. რაც მთავარია, „ნაცმოძრაობა“ თვალდახუჭული შეასრულებს ყველა დავალებას და, უკრაინული „მაიდნის“ ანალოგიურად, საქართველოს ომში რევოლუციის დასრულებისთანავე ჩართავს, რაც ჩვენს ქვეყანასა და მოსახლეობას უკრაინაზე მძიმე შედეგებს მოუტანს.

ბუნებრივია, „გლობალურ ომის პარტიას“ და მის აგენტურას საქართველოში რევოლუციის მოწყობის დიდი რესურსი არ აქვთ. ეს არც იანუკოვიჩის უკრაინაა, არც კადაფის ლიბია და არც შევარდნაძის საქართველო. თუმცა მომდევნო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ერთი წამითაც არ შეიძლება ყურადღების მოდუნება, რომ ჩვენი ქვეყანა ბოროტი ძალების გლობალური და ლოკალური ინტერესების მსხვერპლად არ ვაქციოთ“, – აღნიშნულია „ხალხის ძალის“ განცხადებაში.

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა მდგრადი განვითარების სამიტზე

# ხედვა 2030– საქართველოს განვითარების სტრატეგია!




ჩემთვის დიდი პატივია გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნების სამიტზე დასწრება, სადაც საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია შეაჯეროს ხედვები, გაცვალოს აზრები თუ გამოცდილება და განიხილოს 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების პრაქტიკული განხორციელების გზები.

ჩვენმა მთავრობამ ქმედითი ზომები მიიღო 2030 წლის დღის წესრიგის განსახორციელებლად და სახელმწიფო სერვისების შესაძლებლობათა გასაძლიერებლად, რათა არსებული გამოწვევების გადაჭრა შესაძლებელი გამხდარიყო, რაც აისახა კიდეც მრავალ გლობალურ რეიტინგში.

ვამაყობ, რომ საქართველოს მიერ შეტანილმა წვლილმა მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტშიც გაგვხადა ლიდერი 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების ასპექტში. სხვადასხვა ინიციატივისა და პარტნიორობის მეშვეობით საქართველო ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ განვითარებასა და გარემოს დაცვას.

2016 წელს საქართველომ აქცენტი გააკეთა თავის ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მიზნებში მდგრადი განვითარების მიზნების ჩართვაზე. ისინი „პირველ ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვაშიც“ ასახა. ამას მოჰყვა „მეორე მიმოხილვა“ 2020 წელს, სადაც დეტალურადაა აღწერილი მდგრადი განვითარების მიზნების სფეროში მიღწეული პროგრესი.

საქართველომ 17 მდგრადი განვითარების მიზანი და 93 ორიენტირი განსაზღვრა პრიორიტეტებად და 200 ინდიკატორი შეიმუშავა პროგრესის მონიტორინგისთვის. ჩვენ ასევე შევქმენით მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული საბჭო კონსტრუქციული, ინტერპერსონალური დიალოგის გასაძლიერებლად.

საქართველო სიტყვებს ქმედებად აქცევს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან ეროვნული პოლიტიკის თავსებადობის უზრუნველსაყოფად. დარგობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას ხდება მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება და ეს უკვე არსებული პროცესის შემადგენელი ნაწილია. ყოველივე ამის მიზანია ახალი სტრატეგიული დოკუმენტების თავსებადობა ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან.

ჩემმა მთავრობამ 2021 წელს კიდევ უფრო დახვეწა ლოკალიზაციის გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების საკვანძო დონეზე ინტეგრირებისთვის. ამჟამად, გეგმის მეშვეობით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან 32 მონაწილეობს მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვაში. 2025 წლისთვის ყველა მუნიციპალიტეტი იქნება ამ პროცესში ჩართული.

ეს ლოკალიზებული ძალისხმევა ემთხვევა ჩვენ მიერ შემუშავებულ სამთავრობო დოკუმენტს „ ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელიც განვითარების ძირითად ეროვნულ პრიორიტეტებს ასახავს გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად.

ამასთანავე, ჩვენი მთავრობა ცდილობს განავითაროს საკოორდინაციო შესაძლებლობები და გამჭვირვალობის მექანიზმები. ამ მიზნით ჩვენ შევქმენით მონიტორინგის სისტემა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დღის წესრიგისთვის და მდგრადი განვითარების მიზნების რეალურ დროში განახლებისთვის. ჩვენი მნიშვნელოვანი მიღწევები საქართველოს პოზიციონირებას ახდენს ბიზნესისა და ფინანსების გლობალურ ცენტრად. საქართველო ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკაა მსოფლიოში. ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დადასტურდა 2021 და 2022 წლებში. ზრდა კვლავ მაღალია და 7.2% დადასტურდა 2023 წლის იანვარ-ივლისში.

საქართველოს, როგორც პასუხისმგებლიანი გლობალური მოთამაშის, პოზიცია, რომელიც წინ მიიწევს 2030 წლის დღის წესრიგით, აისახება მის მრავალრიცხოვან დარგობრივ პოლიტიკაში, რომლებიც მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას, განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, განახლებადი ენერგიის მიმართულების განვითარებას და ეკომეგობრული ტურისტული პრაქტიკის დანერგვას.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს დღე 22 სექტემბერია!



## ახალი დღის წესრიგი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალურ მდივანს, ანტონიო გუტერეშს შეხვდა.**

გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა მდგრადი განვითარების მიმართულებით გაეროს მიერ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე ისაუბრეს.

**„მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებულ ტრაქტატებს, რომელთა მიზანია, გაერო უკეთესად მოერგოს არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებს.**

**ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო აფასებს ანტონიო გუტერეშის ძალისხმევას „მშვიდობის ახალი დღის წესრიგის“ შემუშავებაში, რომელიც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და გაეროს წესდებას ეყრდნობა“,** – აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## შარლ მიშელი: სტატუსის მიღების გასაღები ცნობილია!



ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრაზე გავიმეორე ევროკავშირის ერთგულება საქართველოს წევრობის პერსპექტივისადმი, ახლა დროა, შესრულდეს პრიორიტეტები, რომელიც არის გასაღები სტატუსის მისაღებად.

**„მივესალმები ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმების შესახებ დღევანდელ განცხადებას. კიდევ ერთხელ გავიმეორე ევროკავშირის ერთგულება საქართველოს წევრობის პერსპექტივისადმი. ახლა დროა, შესრულდეს პრიორიტეტები, რომელიც არის გასაღები სტატუსის მისაღებად“,** – წერს შარლ მიშელი.

## კახა კალაძე: ეს არის ბინძური ლობიზმის შედეგი!

### ბიძინა ივანიშვილი უდიდესი ქველმოქმედია, მისი ყველაზე დიდი ქველმოქმედება 2011 წელს პოლიტიკაში მოსვლა იყო

დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ მედიის შეკითხვას უპასუხა დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კანონზე მუშაობა დასავლელი პარტნიორების რჩევების გათვალისწინებით მოხდა.

**„თქვენ იცით, რომ ჩვენ დაწყებული გვქონდა კანონზე მუშაობა, თუმცა გავჩერდით ჩვენი მეგობრების მოთხოვნით. მოგვცეს გზამკვლევი, თუ რა მიმართულებით უნდა წავსულიყავით. ორი დღის წინ პრემიერმა გააკეთა განცხადება და, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ჩვენი ევროპელი მეგობრების სურვილი იყო“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

კალაძემ სიბინძურე უწოდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბიძინა ივანიშვილი უდიდესი ქველმოქმედია და არა – ოლიგარქი.

**„ის არის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ქველმოქმედება აქვს ქვეყანაში გაკეთებული. აღარ ჩამოვთვლი პროექტებს, რაც ამ ადამიანმა და მისმა საქველმოქმედო ფონდმა გააკეთა, აკეთებს და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გააკეთებს ამ ქვეყნის განვითარებისთვის. მე თუ მკითხავთ, მისი ყველაზე დიდი ქველმოქმედება და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, როდესაც ის პოლიტიკაში შემოვიდა 2011 წელს და ის სისხლიანი რეჟიმი, ის ბოროტება, რომელიც დაკავებული იყო ოჯახების, ადამიანების გაუბედურებით, ბიზნესის რეკეტით, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით, გაუშვა იქ, სადაც გასაშვები იყო“.**



თბილისის მერის განმარტებით, „ბინძური ლობიზმის“ შედეგია ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია და ევროპარლამენტარების ის განცხადებები, რაც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

**„რაც შეეხება იმ ბინძურ პროპაგანდას, რაც ვნახეთ, ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ეს იყო კონკრეტული თანხების სანაცვლოდ, ლობიზმის შედეგად მიღებული რეზოლუციები. ეს არის სამწუხარო რეალობა და მინდა, ვუთხრა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას – ეს ევროპა არ არის, მეგობრებო. ევროპული მომავალი და ის, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, არ არის ეს. ეს არის სიბინძურე, რაც ჩვენ ვნახეთ.**

**ნამდვილი ევროპა და ევროპული მომავალი არის ღირებულებებზე და ფასეულობებზე დაფუძნებული, ეს არის სამართლიანობა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვნახეთ, რომ არ არსებობს და ძალიან დიდი სიბინძურეა ეს ყველაფერი. აღმოჩნდა, რომ თუ ფულს გადაიხდი, შესაძლებელია ნებისმიერი რეზოლუციის მიღება.**

**სამწუხაროა ზოგიერთი ევროპარლამენტარის მხრიდან გაკეთებული სამარცხვინო განცხადებები ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში და ჩვენ როდესაც ამას ვპასუხობთ და ვიცავთ სიმართლეს, თავდასხმას უწოდებთ, თუმცა ქვეყნის მოსახლეობა კარგად ხედავს რეალობას“,** – დასძინა კახა კალაძემ.



# თბილისში კიევის „მაიდანი“ არ უნდა დავუშვათ!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:**

**საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა ჯგუფი საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციას, სამოქალაქო არეულობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა!**



გიორგი ლორთქიფანიძე — საქართველოს ყოფილი შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მოადგილე და ამჟამად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე

მიხეილ ბატურინი — მესამე პრეზიდენტის [სააკაშვილის] დაცვის ყოფილი წევრი

მამუკა მამულაშვილი — სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი, უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური

**საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა,** – ამის შესახებ აღნიშნულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციაში.

**„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა.**

**დესტრუქციული პროცესების დაწყების თარიღებად შერჩეულია მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდი, როდესაც უნდა გამოქვეყნდეს ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა. სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად მომზადების შეთქმულთა მოლოდინი გათვლილია იმ გარემოებაზე, რომ გამოქვეყნებული დასკვნა იქნება უარყოფითი, რაც, მათ განკარგულებაში არსებული საინფორმაციო ქსელებით მთავრობისთვის ხელოვნურად დამაგრებული „პრორუსულობის“ ლოზუნგით, შექმნის ნაყოფიერ ნიადაგს საზოგადოებრივი მღელვარებისა და შემდგომი არეულობებისთვის.**

**აღნიშნული გეგმის ერთ-ერთ ავტორად გვევლინება საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მოადგილე და ამჟამად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე და მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული წარმოშობის მქონე პირები, მათ შორის მესამე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი მიხეილ ბატურინი და ასევე სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი, უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი. ხაზგასასმელია ის, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება იგეგმება უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით.**

**დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციით, გიორგი ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული გეგმის შესასრულებლად გამოყენებული იქნება უკრაინაში მებრძოლი ქართული წარმოშობის საკმაოდ დიდი ჯგუფი და დაინტერესებული მხარის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, რომელთა გადამზადება-წვრთნა მიმდინარეობს პოლონეთი-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ. რევოლუციური სცენარისთვის გამოსაყენებელი ახალგაზრდული ჯგუფების მომზადების მიზნით გამოიყენება ორგანიზაცია „კანვასი“, რომლის ბირთვსაც შეადგენს ორგანიზაცია „ოტპორი“. სწორედ ამ ორგანიზაციებმა წარსულში მიიღეს აქტიური მონაწილეობა სერბეთში განვითარებულ რევოლუციურ პროცესებში და, შესაბამისად, რეგულარულად გამოიყენებიან სხვადასხვა ქვეყანაში ახალგაზრდების მომზადებასა და დესტრუქციულ პროცესებში ჩართვის მიზნით.**

**ხსენებული პირების მიერ განიხილება მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავს ეგრეთ წოდებული კარვების ქალაქის მოწყობას, საქართველოში ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებასა და ასევე სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც შეიცავენ მძიმე პროვოკაციის ელემენტებს. კერძოდ, დადასტურებულად ცნობილია, რომ ორგანიზატორების მიერ განიხილება საქართველოში 2014 წელს უკრაინაში გამართული „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება.**

**ასევე, ცნობილია, რომ გიორგი ლორთქიფანიძისა და მიხეილ ბატურინის ორგანიზებით აქციების მიმდინარეობის ადგილას, კერძოდ, ეგრეთ წოდებული კარვების ქალაქის ტერიტორიაზე, წინასწარ შერჩეულ კარავში შეტანილი იქნება ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის აფეთქებაც განზრახული აქვთ დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორებს. აღნიშნულმა, მათი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, უნდა გამოიწვიოს საპროტესტო აქციებში მონაწილე მშვიდობიან მოსახლეობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა რიგებში მსხვერპლი. ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევაში, დესტრუქციული ძალები იმედოვნებენ, რომ მოხდება უმისამართო სროლა სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის, რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირებისთვის.**

**გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ხსენებული პროვოკაციები ორგანიზატორების მიერ პირველად არ დაგეგმილა საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა წარსულში ისინი აღკვეთილ იქნა სამართალდამცავების ეფექტური და პრევენციული რეაგირების მეშვეობით. არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების გამოწვევების გათვალისწინებით, განსხვავებით წინა შემთხვევებისაგან, ამჟამინდელი გეგმა წარმოადგენს გაცილებით მაღალი რისკის შემცველ ფაქტორს, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის უსაფრთხოებას, ასევე საქართველოს რიგითი მოსახლეობის სიცოცხლეს, კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას.**

**აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სხვა კომპეტენტურ უწყებებთან კოორდინაციაში ახორციელებს და განახორციელებს ყველა საჭირო პრევენციულ ღონისძიებას. ასევე, დამატებითი ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით, სამსახური ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მიმართავს პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებს“!**

**ისევ სიცრუე და მანიპულაცია!**

# კრიტიკა თუ თავდასხმა?

**საქართველოს სამოქალაქო სექტორის ერთი გავლენიანი ნაწილი აქტიურად ცდილობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათზე მორგებული სტანდარტების დამკვიდრებას და პარალელურად, საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენას. ამის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ თუნდაც სოროსის ფონდის ადგილობრივი ფილიალის – ღია საზოგადოების ფონდის ვებ-გვერდზე 15 სექტემბერს გამოქვეყნებული არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება პრეტენზიული სათაურით „თავდასხმა თანამშრომლობის ნაცვლად“.**

განცხადების ავტორების შეშფოთებას გამოთქვამენ ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან ენჯეოების შევიწროებისა და მათზე „თავდასხმების“ გამო. ენჯეოებს განსაკუთრებით არ მოეწონათ კრიტიკული შენიშვნები მათ შემოსავლებთან და ფინანსურ გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. განცხადებაში ისინი ამტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი იწვევს ენჯეოების დისკრედიტაციას, საფრთხეს უქმნის ქვეყანაში სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის უსაფრთხო გარემოს არსებობას, მათთვის „სივრცის შეზღუდვას“, და ა.შ. განსაკუთრებით არ მოსწონთ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ენჯეოების პოლიტიკურ პარტიებთან მჭიდრო კავშირზე საუბრობენ.

სამოქალაქო სექტორთან დამოკიდებულების კუთხით საქართველოს ერთ დაფაზე აყენებენ რუსეთთან და აზერბაიჯანთან. განცხადებაში ხშირად არის გამოყენებული ფრაზა „სამოქალაქო სექტორზე თავდასხმა“, რაც ამ ორგანიზაციებისთვის მომგებიან ინსტრუმენტად იქცა კოლექტიური დასავლეთის დასარწმუნებლად, რომ საქართველოში სამოქალაქო სექტორი და კრიტიკული აზრი იდევნება.

ის, რის გამოც ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ ენჯეოებს აკრიტიკებენ, რომ იტყვიან „ყვავილებია“ იმ ბრალდებების ფონზე, რასაც თავად ისინი უყენებენ ამჟამინდელ ხელისუფლებას უკვე არაერთი წელია და ამ ბრალდებების სიმწვავე, სიხშირე, რომ იტყვიან, თოვლის გუნდასავით იზრდება.

თუ ვითარებას გავაანალიზებთ, რეალურად საქმე გვაქვს ენჯეობის ერთი გავლენიანი ჯგუფის მცდელობასთან, სამოქალაქო სექტორის ტაძარში შევიდეს მათი საკუთარი წესებით. ეს წესები კი, თუ ამ ენჯეოების ქმედებებით ვიმსჯელებთ, გულისხმობს მათთვის განსაკუთრებული, პრივილეგირებული მდგომარეობის დაწესებას. ეს პრივილეგირებული მდგომარეობა კი სრულად უნდა გამორიცხავდეს აღნიშნული ენჯეოების რაიმე სახის კრიტიკას, ისინი უნდა იყვნენ ხელშეუხებელნი!

**რით არის გამოწვეული ამგვარი განსაკუთრებულობის განცდა?! აღნიშნულ ენჯეობში დასაქმებული ადამიანები ფართო საზოგადოებაში რაიმე სერიოზული გავლენით ან ავტორიტეტით არ სარგებლობენ. თუკი საზოგადოება მათ იცნობს, ისევ ოპოზიციური ტელეარხების წყალობით. თუმცა, ამ ენჯეოების განკარგულებაშია ის რესურსი, რის გამოც მათ „მდიდარი ენჯეოები“ შეარქვეს. ეს „სიმდიდრე“კი მთლიანად გარედან მიღებული უხვი და უწყვეტი დაფინანსებით არის გარანტირებული და შესაბამისად, გარანტირებულია მათი დაცვაც გავლენიანი დამფინანსებლების მხრიდან. ამის მოწმე ჩვენი საზოგადოება არაერთხელ გახდა. ამასაც აქვს თავის ახსნა, აღნიშნული ენჯეოები მიიჩნევა დასავლეთის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად და გავლენის ინსტრუმენტად საქართველოში. გავლენის ინსტრუმენტს კი, ბუნებრივია, დაცვაც სჭირდება.**

**რამდენად რეალურია, ელიტარული ენჯეოების პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ, თითქოს ის ენჯეოებს საარსებო გარემოს უსპობს, თავს ესხმის და ა.შ?**

დავიწყოთ იმით, რომ აღნიშნულ ენჯეოებს სივრცეს არავინ უზღუდავს. წინააღმდეგ შემთხვე-



## გიორგი მამაცაშვილი:

# არ ისვენებენ ეს ნაძირალები!

არადა, არ ისვენებენ ეს ნაძირალები.

არადა, არ ასვენებთ გამჩენი.

არადა...

იმდენი „არადა“ შეიძლება გამოიყენო კაცმა ამათზე წერისას, რომ...

არადა, არც ესმით.

არადა, არც უნდათ დაშოშმინება.

არადა, ტყუილად ჰგონიათ, ქვეყანას რამეს დააკლებენ თავიანთი შიზოიდური ქმედებებით.

არადა, წლების მერე, ისტორიის სახელმძღვანელოებში შესული პუბლიკაციების სათაურებს ახლავე ვხედავ: „უდელის გეგმები და ბოროტას თავგადასავალი“, „ჩავარდნილი „მაიდანი“ ქართულად“ და 12-წლიანი ციხის ხეხვა სააკაშვილისებურად“, „არა შეჯდა ვანო ხესა“...

არადა, სუს-ის განცხადება რად გვინდა?!

ყოველდღე ვხედავთ და ვისმენთ მათ მოღალატეობრივ გამოსვლებს.

ყოველდღე გამოგვაქვს დასკვნები მათი პროვოკაციების ხილვისას.

და ყოველდღე „ხვალის“ იმედით ვართ, იქნებ გონება გაუნათდეთო, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი...

მეტი არაა ჩემი მტერი, ანი წითლიძე მაია წყნეთელად იქცეს და ლიაკა ხოშტარია – თინა წავკისელად.

მეტი არაა ჩემი მტერი, გირჩი ზურაბა ქადაგად დაეცეს და ბერად აღიკვეცოს.

მეტი არაა ჩემი მტერი, მერაბიშვილმა და სააკაშვილმა უგულავას კორუფციული სქემები გამოიძიონ და ადეიშვილი ბორკილდადებული ჩამოამსერონ ქვეყანაში.

მეტი არაა ჩემი და თქვენი მტერი, ძვირფასო მკითხველო...

უარესებიც შეიძლება და ჩემზე უკეთაც დაარქმევენ სახელს ისტორიკოსები მერაბიშვილის, სააკაშვილისა და ლორთქიფანიძის მიერ დაგეგმილი და აწ უკვე ჩავარდნილი გადატრიალების სქემას, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ახლა ერთია მთავარი.

ერთ-ერთ წინა წერილში ვწერდი და გავმეორდები: ვერასდროს ეღირსებით მულტფილმის პერსონაჟის გახმოვანებას და ვერასდროს იტყვით – „გუშინ რომ იყვნენ, ისევ ისინი მოდიანო“...

უკრაინამ თავისთვის შეინახოს თავისივე ეროვნული გმირები და ლორთქიფანიძისა და მეგის ქარდავას მეტი გმირი არ აღირსოს ღმერთმა!

ჩვენ სხვა ისტორიას დავწერთ!

ჩვენ სხვა მატერიებით ვიხელმძღვანელებთ. ჩვენ სხვა თაობებს გავზრდით ილია ჭავჭავაძისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის კვალდაკვალ;

მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას კვალდაკვალ;

გიორგი ანწუხელიძისა და მერაბ მინდიაშვილის კვალდაკვალ.

ჩვენ ჩვენი ახალი თევდორე მღვდლები და იოთამ ზედგენიძეები გვეყოლება და ამათ? ამათ... ძაღლი მიაკვდეთ სულში!

„რეპორტიორი

---



## ლაშა გეგეჭკორი:

# „ბოროტა“, „ბატურინა“ და ძმანი მათნი...



ფბ-მომხმარებელი **ლაშა გეგეჭკორი** სუს-ის ინფორმაციას საქართველოში მოსალოდნელი გადატრიალების მცდელობის და მისი ორგანიზატორის, შს მინისტრის ყოფილი მოადგილის **გია ლორთქიფანიძის** შესახებ, სოციალურ ქსელში ეხმაურება.

**„მხოლოდ ფაქტები:**

**გია ლორთქიფანიძე, 2009-2012 წწ. შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მოადგილე იყო. სააკაშვილი მას „ბოროტას“ ეძახდა, რითაც ეს უკანასკნელი ამაყობდა კიდეც.**

**მის სახელს უკავშირდება 2012 წელს საქართველოში ჩეჩენი მებრძოლების ჩამოყვანა, გაწვრთნა და შეიარაღება.**

**ლორთქიფანიძე ბრალდებულია 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეების დარბევის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის.**

**2015 წლის ივნისიდან 2016 წლის ნოემბრამდე გია ლორთქიფანიძე უკრაინის შსს-ს ოდესის ოლქის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო. ამჟამად იკავებს უკრაინის კონტრდაზვერვის დირექტორის მოადგილის პოსტს.**

**2021 წლის დეკემბერში საქართველოს პროკურატურამ ლორთქიფანიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. ლორთქიფანიძე ექს-პრეზიდენტ სააკაშვილს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში დაეხმარა. ის ჯერ კიდევ 2021 წლის აპრილში შეხვდა ამავე საქმეში ბრალდებულ ელგუჯა ცომაიას და გარკვეული დახმარების სანაცვლოდ დაიყოლია იგი, მისი კუთვნილი მისაბმელიანი სატვირთო ავტომანქანით გადაეყვანა სააკაშვილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე.**

**2021 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გია ლორთქიფანიძე დაუკავშირდა საქართველოში მყოფ ელგუჯა ცომაიას და მას უკრაინაში ჩასვლა მოსთხოვა.**

**ცომაია 20 სექტემბერს მისი კუთვნილი ფირმის სატვირთო ავტომანქანით უკრაინაში გაემგზავრა, სადაც ავტომანქანა რძის პროდუქტებით დატვირთა და ლორთქიფანიძის შემდეგ მითითებებს დაელოდა. შემდეგ განვითარებული მოვლენები ცნობილია – არაჟნის კონტეინერით საქართველოში შემოპარული სააკაშვილი დაკავებული იქნა.**

**ამით, არეულობის მოწყობის გეგმა ჩავარდა.**

**სუს-ის განცხადებით, საქართველოში სამოქალაქო არეულობის გეგმის, რომელიც სისხლისღვრას გულისხმობს, ერთ-ერთ ავტორად სწორედ გია ლორთქიფანიძე გვევლინება, მის დაქვემდებარებაში არსებული უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაურ მამუკა მამულაშვილთან ერთად და ასევე ფიგურირებენ ქართული წარმოშობის პირები, მათ შორის მესამე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი მიხეილ ბატურინი.**

**შეგახსენებთ: 2021 წლის 19 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოში უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის სტუმრობის წინ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებულები, ორი უკრაინელი მეზღვაური და ასევე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრი მიხეილ ბატურინი შეიწყალა...“**

„რეპორტიორი“

---

## მამუკა მამულაშვილი:

# ეს, შესაძლოა, უკრაინაში მებრძოლი ქართველების რუსეთისთვის გადაცემის მცდელობა იყოს



უკრაინის მხარეს მებრძოლი „ქართული ლეგიონის“ ხელმძღვანელი **მამუკა მამულაშვილი** თვლის, რომ მისი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაჟღერებულ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის“ გეგმასთან დაკავშირება, „ქართული ლეგიონის“ დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

**„ეს რუსეთის დირექტივაა, რომელიც პირველ რგში, ჩვენს საქმიანობასთან არის დაკავშირებული. „ქართული ლეგიონი“ გახლავთ ყველაზე დიდი უცხოური დანაყოფი უკრაინაში და, რა თქმა უნდა, ეს ძალიან “შემაწუხებელი“ ფაქტორია – ბევრი რუსი კვდება „ქართული ლეგიონის“ მებრძოლების ხელით“,** – თქვა მამულაშვილმა და დასძინა, **„არ მინდა, ეს ყველაფერი იყოს განზრახული და მიმართული ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ჩამოდიან (საქართველოში) საკუთარი ოჯახების მოსანახულებლად“.**

ამ კონტექსტში მან გაიხსენა, რომ რუსეთს უკრაინაში მებრძოლ ქართველებზე ძებნა აქვს გამოცხადებული და ვარაუდობს, რომ „ეს შესაძლოა, იყოს მცდელობა ამ ადამიანების რუსეთისთვის გადაცემის“.

**„ეს რუსული ხელწერაა. გააქტიურდა საქართველოს რუსული ხელისუფლება და ამით ქართული ლეგიონის დისკრედიტაციას ცდილობს“,** – ასკვნის მამულაშვილი.

---

ვაში, ისინი აღმოჩნდებოდნენ იმ მდგომარეობაში, რაშიც მათი კოლეგები არიან რუსეთსა და აზერბაიჯანში, სადაც თუნდაც ფულადი გადმორიცხვა უცხოეთიდან, ენჯეოებისთვის სერიოზული პრობლემების წყაროა.

**განცხადებაში გავლებული პარალელები რუსეთთან და აზერბაიჯანთან სიცრუე და მანიპულაციაა. ამაში იოლად დარწმუნდება ნებისმიერი, ვინც ოდნავ მაინც იცის, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება აღნიშნულ ქვეყნებში სამოქალაქო სექტორი და რა შეუდარებლად თავისუფალ გარემოში ოპერირებენ საქართველოში ის ენჯეოები, რომლებიც ბოლო წლებში სრულიად აშკარად ჩამოყალიბდნენ რადიკალური ოპოზიციის პირდაპირ ან სიტუაციურ მოკავშირეებად.**

განცხადებაში არ არის არც ერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ სამოქალაქო სექტორს და კონკრეტულად, განცხადების ხელმომწერ ენჯეოებს მოქმედების დიაპაზონი შეეზღუდათ.

სასაცილოა და პროვოკაციული აღნიშნული ენჯეოებისთვის სივრცის შეზღუდვაზე საუბარი, როდესაც მათ სრული თავისუფლება აქვთ თბილისსა თუ რეგიონებში განახორციელონ უცხოური გრანტებით დაფინანსებული ღონისძიებები, მათ შორის ისეთებიც, სადაც დაუფარავად განიხილება ხელისუფლების დამხობის სცენარები.

სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა არ ახდენს „კრიტიკის“ და „თავდასხმის“ არსის გამიჯვნას. ეს კი საშუალებას აძლევს აღნიშნულ ენჯეოებს და მათ დონორებს ტერმინი „თავდასხმა“ ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის გამოიყენონ. სხვათა შორის, ენჯეოების ეს განცხადება ვრცელდება სწორედ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების წინ, რომ მავანს ხელჩასაჭიდი მისცენ, თითქოს საქართველოში ენჯეოები იდევნება.

თავად ტერმინი „თავდასხმა“ ძალიან ფართო ინტერპრეტაციას ექვემდებარება და მისი გამიჯვნა კრიტიკისგან, ხშირად რთულია, თუმცა შესაძლებელი. ჩვენს პირობებში სწორედ აღნიშნული ენჯეოების მეცადინეობით, ნებისმიერი თუნდაც საგნობრივი კრიტიკა, წარმოჩინებულია სექტორზე თავდასხმად და ამაზე მუდმივად ხდება პედალირება. ისმის კითხვა, ვინ ვის დისკრედიტაციას ეწევა?

ახლა კი ვნახოთ, თუ რამდენად თანხვედრაშია ჩვენს კონსტიტუციასთან და ზოგადად დემოკრატიის პრინციპებთან პრივილეგირებული ენჯეოების მიერ კრიტიკის თავდასხმად მონათვლა.

**ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია, აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. ხოლო ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. „საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებითა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება ინფორმაციის შინაარსობრივი ფილტრაციის გარეშე.**

აქვე ამონარიდი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებიდან, რომელმაც გაიზიარა რა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტი, დაადგინა, რომ თავისუფალი სიტყვის ფასეულობა მოიცავს არა მხოლოდ ყველასათვის მისაღებ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომელიც უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არამედ ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, და რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, და რომელიც მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. სწორედ ასეთ ჭრილში აკრიტიკებენ ხელისუფლების წარმომადგენლები სამოქალაქო სექტორის ერთ სეგმენტს, ხოლო ეს უკანასკნელი ამას თავდასხმად ნათლავს.

**დღეს ელიტარულ ენჯეოთა ცნობილი დაჯგუფება აქტიურად იღვწის საკუთარი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის, რომ ამით საზოგადოებაში პოზიციები განიმტკიცოს. კონსტიტუციით გარანტირებული სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების უფლებასაც საკუთარ ტანზე ირგებენ, იმ პრინციპით, რომ მათ აქვთ ყველაფრის უფლება, დანარჩენებს კი ნურას უკაცრავად. გარედან მიღებულმა სერიოზულმა ფინანსურმა, პოლიტიკურმა და მორალურმა მხარდაჭერამ, ენჯეოთა ეს კონგლომერატი უკვე გადააქცია პოლიტიკურ ველზე მოქმედ უნიკალურ მოთამაშედ. ეს უნიკალურობა კი გამოიხატება სამოქალაქო და პოლიტიკური საქმიანობის ისეთ კომბინირებაში, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, სერიოზული გავლენა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე.**



**ზაალ ანჯაფარიძე**



# არ გაბედოთ!

## ვინ შემოაგდო საქართველოში „განუზაჟებელი“ სააკაშვილი?

– მინდა, სუს-ის წარმომადგენლებს მივმართო, აუცილებლად გაასაჯაროონ და ისაუბრონ, როგორ დააკავეს ქვეყანაში უკრაინის შვიდი შეიარაღებული მოქალაქე, ისაუბრონ უკრაინის ზღვით შემოსულ მოქალაქეზე, რომელიც დააკავეს, ისაუბრონ სიმართლე იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი მოთხოვნით იყვნენ ეს ადამიანები გათავისუფლებული, – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ განაცხადა. როგორც კალაძემ აღნიშნა, არეულობის ყველა მცდელობაზე სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული ღონისძიებები გატარდა.

„მინდა, სუს-ის წარმომადგენლებს მივმართო, აუცილებლად გაასაჯაროონ და ისაუბრონ, როგორ დააკავეს ქვეყანაში უკრაინის შვიდი შეიარაღებული მოქალაქე; ისაუბრონ უკრაინის ზღვით შემოსულ მოქალაქეზე, რომელიც დააკავეს; ისაუბრონ სიმართლე იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი მოთხოვნით იყო ეს ადამიანები გათავისუფლებული. სააკაშვილის „შემოგდება“ ქვეყანაში, როგორც „განუზაჟებელი ტვირთი“, როგორ ფიქრობთ, ვის მიზნებს ემსახურებოდა? რა იყო ამ ყველაფრის მთავარი მიზანი?

ყველაფერი ცხადი და ნათელია. აქტორები, რომლებიც ამ ყველაფრის ორგანიზებაში არიან ჩართული, ადრე ცდილობდნენ, დემოკრატიის ნიღბით ემოქმედათ, განცხადებები გაეკეთებინათ, თუმცა დღეს ეს ნიღაბი ჩამოხსნილი აქვთ და ვიცით რას წარმოადგენენ, ვინ არიან, რისი მკადრებლები არიან. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ყველა შესაბამისი უწყება მზად არის, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები იმისთვის, რომ ქვეყანაში შეინარჩუნოს მშვიდობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მოხდეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.



## კახა კალაძე: ჩვენი ქვეყანა არ იყიდება!

საქართველოს დღეს არ ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესს დათმობს და სხვა რომელიმე ქვეყნის ინტერესს გაატარებს, – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ განაცხადა.

როგორც კალაძემ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დესტაბილიზაციისა და სახელმწიფო გადატრიალების გეგმის შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე საუბრისას აღნიშნა, ყველამ უნდა დაიმახსოვროს, რომ საქართველო არ იყიდება და დესტაბილიზაციის უფლება არავის მიეცემა.

„დარწმუნებული ვარ, შესაბამის სამსახურს უფრო მეტი ინფორმაცია და კონკრეტიკა აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ძალიან ბევრი რამ ცხადიცაა. პირდაპირ განცხადებებს ვისმენთ, ქმედებებსაც ვაკვირდებოდით და ყოველთვის არის მცდელობა, ქვეყანაში შემოიტანონ დაძაბულობა, არეულობა. ერთი რამ ცხადია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვიღაცებისთვის არ არის მისაღები, რადგან დღეს საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება, ვინც ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესს დათმობს, გაატარებს სხვა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ინტერესს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ხარჯზე. არავის მივცემთ უფლებას და შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა გამოიყენოს საზარბაზნე ხორცად. ჩვენი ქვეყანა არ იყიდება. ეს უნდა დაიმახსოვროს ყველამ, ვინც არ უნდა იყოს ქვეყნის შიგნით, მის გარეთ თუ ა.შ.“ – განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერის თქმით, სუს-ის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში დასახელებული ადამიანები, მათი წარსული საქმიანობიდან გამომდინარე, ყველაფრის მკადრებლები არიან.

„მეორე დღეა, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქილიკი და დისკრედიტაციის მცდელობა იმ უწყების მისამართით, ვინც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთა. ცდილობენ, როგორმე გააუფერულონ აღნიშნული განცხადება და ისე მოგვევლინებიან ხოლმე, როგორ იკადრებენ და გაბედავენ ასეთ რამეს. ნეტავ, ვინმემ რამე გაბედოს, ყველა მიიღებს შესაბამის პასუხს, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში.

როდესაც ჩვენ ამ ადამიანებზე ვსაუბრობთ, გავიხსენოთ და გადავხედოთ მათ წარსულს: დავიწყოთ ადამიანებისა და ოჯახების გაუბედურებით; გავიხსენოთ რა ხდებოდა ბიზნესის მიმართ, როგორი რეკეტი მიდიოდა; ციხეებში პატიმრები გამოჰყავდათ და ამცირებდნენ, მიმდინარეობდა მათი ოჯახის წევრების შეურაცხყოფა; მანქანებზე „გადასკოჩილებს“ აუპატიურებდნენ; არ ვიცი, რამდენი უბედურება გავიხსენო. როდესაც ამ ყველაფერს კადრულობ და გამკეთებელი ხარ, ცხადია, ყველაფერზე წამსვლელი ხარ. შენ რომ იყო ღირსეული ადამიანი და პოლიტიკოსი, ამას არ აკადრებდი არც შენს ქვეყანას და არც მის მოსახლეობას“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

## ირაკლი კობახიძე: ყურადღების მოდუნება არ შეიძლება!



პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, რადიკალურ ოპოზიციას არ სურს, ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს და ამაზე მიუთითებს მათი მოქმედებები.

„ერთადერთი, რაც უნდა რადიკალურ ოპოზიციას, არის, როგორმე ჩვენ არ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. გახსოვთ ამასთან დაკავშირებით გუშინდელი წამოცდენებიც. მათ აქვთ ერთადერთი თვითმიზანი, რომ ქვეყანამ დეკემბერში არ მიღოს კანდიდატის სტატუსი, რათა შემდეგ დეკემბერში – ან მანამდე, ოქტომბრიდან – სცადონ რაღაცნაირად ქვეყანაში ვითარების არევა. გამორიცხულია, მათ ეს მოახერხონ, მაგრამ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება.

ეს პატარა ნაბიჯებიც არის ამის ნიშანი, არ შემოდიან ჯგუფებში, არ ერთვებიან პროცესებში, რადგან მაშინ საკუთარი დადებითი წვლილი უნდა შეიტანონ კანდიდატის სტატუსის მიღებაში. ამას მაქსიმალურად გაურბიან, რადგან არ უნდათ, რომ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ყველა ნაბიჯი ამის ნიშანია“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## სოზარ სუბარი: ერთობ ცუდ დროში ვცხოვრობთ!

ოპოზიცია ცდილობს, „შეთქმულების თეორია“ დაარქვას იმ საფრთხეებს, რაზეც სუსის განცხადებაშია ლაპარაკი. არადა, ბოლო წლებში ჩვენ მოვისმინეთ ხელისუფლების დამხობისკენ მიმართული არაერთი მოწოდება და ამის არაერთი მცდელობაც ვნახეთ, – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა.

სუბარის თქმით, არეულობის დამგეგმავებმა კარგად იციან ის, რასაც ადამიანთა უმრავლესობა ძალიან გვიან, მხოლოდ მაშინ აცნობიერებს, როცა რაიმეს შეცვლა უკვე ძალიან ძნელია – კარგად იციან, რომ სამყარო პირველი ტყვიის გავარდნამდე და მის შემდეგ ორი სხვადასხვა სამყაროა.



„მინდა მივმართო ჩვენს მრავალგზის გაწბილებულ ოპოზიციას: კიდევ ბევრჯერ მოგიწევთ ბიძინა ივანიშვილის სახელის ხსენება, იმიტომ, რომ ეს არის კაცი, რომელმაც აგენტების მმართველობა დაასრულა საქართველოში და ვერასდროს ვერ ეღირსებით ისევ მმართველობაში დაბრუნებას. გეყოლებათ ის ცოცხალი „გმირები“, წეღან რომ ახსენეთ: გია ლორთქიფანიძე, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს მოქალაქეების უსასტიკეს დარბევაში 2011 წლის 26 მაისს, თბილისში; მეგის ქარდავა, ალექსანდრე მუხაძე, კოხტა კოდუა – ადამიანები, რომლებიც ადამიანების გაუპატიურებასა და წამებაში არიან მრავალგზის მხილებული და მსჯავრდებულები; ადამიანები, რომლებიც ადამიანების ზღვაში გადაგდებაში არიან მსჯავრდებულები – თქვენ გყავთ ასეთი „გმირები“ და ვერასდროს მოხვალთ ხელისუფლებაში.

...კარგად ვიცი, რომ დესტაბილიზაციის დამგეგმავდამფინანსებლების მიმართ მოწოდებებს აზრი არა აქვს, მაგრამ ჩვენმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს სიმართლე, რა საფრთხეებს უქმნიან ისინი ჩვენ სამშობლოს. ასევე, მადლობა სამართალდამცავ სტრუქტურებს, ამ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს იმის გამო, რომ ამ წლების განმავლობაში არაერთხელ ააცილეს ჩვენს ქვეყანას მსგავსი საფრთხეები. გუშინდელ განცხადებას, დარწმუნებული ვარ, დიდი პრევენციული შედეგი ექნება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს, ბოლომდე მიიყვანონ ამ საქმის გამოძიება, მომავალშიც მოგვაწოდონ სრული ინფორმაცია ამ პროცესზე და, ბუნებრივია, შესაბამის სამართლებრივ რეაგირებასაც ველოდებით,“ – განაცხადა სოზარ სუბარმა.



## ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე!

(პირველი გვერდიდან)

ბოლო დღეებში, აღნიშნული დეზინფორმაციის კამპანიის ფარგლებში, მრავლად მოვისმინეთ სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური განცხადებები ოთარ ფარცხალაძის ვითომდა კავშირებზე საქართველოს პროკურატურასთან. ეს არ არის პირველი შემთხვევა ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც მსგავს ტყუილებს ვისმენთ გარკვეული პოლიტიკოსების მხრიდან ჩვენი უწყების მიმართ და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან მათ მოეთხოვათ შესაბამისი მტკიცებულებების გასაჯაროება ანდა მსგავსი ცილისმწამებლური განცხადებების შეწყვეტა, მათ მიერ არასდროს არ წარმოდგენილა არცერთი მტკიცებულება მათი განცხადებების დასასაბუთებლად. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ აგრძელებენ პერმანენტული ტყუილებით პროკურატურის დისკრედიტაციის მცდელობებს.

პროკურატურის და მისი ხელმძღვანელი პირების, თანამშრომლების წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებას ძირითადად ის კონკრეტული პოლიტიკური ძალა ცდილობს, რომლის წარმომადგენლების მიმართ წლებია სამართალწარმოება არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ პროპაგანდისტული დეზინფორმაციის მიზანი უწყების საქმიანობისთვის ხელის შეშლაა, რათა წლების განმავლობაში ჩადენილ დანაშაულზე პასუხი არავის მოეთხოვოს და პასუხისგებას გაექცნენ, რაც, რა თქმა უნდა, არავის გამოუვა.

რაც შეეხება ოთარ ფარცხალაძეს, მან საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობა დატოვა 2013 წელს და მას შემდეგ, არანაირი შემხებლობა საქართველოს პროკურატურის საქმიანობასთან არ ჰქონია და არც შეიძლება, რომ ჰქონოდა. ასევე არანაირი შემხებლობა არ ჰქონია მიხეილ სააკაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებთან. ამ ცილისმწამებლური კამპანიის მთავარი ხაზი სწორედ ოთარ ფარცხალაძის ამ საქმესთან დაკავშირებაა, რაც მარტივად გარკვევადია.

როგორც აღვნიშნეთ, ოთარ ფარცხალაძემ თანამდებობა დატოვა 2013 წელს, ხოლო პირველად სისხლისსამართლებრივი დევნა მიხეილ სააკაშვილის მიმართ დაიწყო 2014 წლის 28 ივლისს, მხოლოდ ამ თარიღებითაც კი ნათლად ჩანს მსგავსი სპეკულაციების აშკარა სიყალბე.

რაც შეეხება კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეებს, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ სპეციალურად ამ საქმეებისთვის საქართველოს პროკურატურამ შექმნა საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომელმაც შეისწავლა მიხეილ სააკაშვილის მიმართ მიმდინარე გამოძიებები. ხაზი უნდა გაესვას, რომ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში მტკიცებულებითი სტანდარტი შეაფასეს სწორედ ხსენებულმა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო ექსპერტებმა – ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის განყოფილების ყოფილმა უფროსმა პოლ კოფიმ, ისრაელის ყოფილმა სახელმწიფო პროკურორმა მოშე ლადორმა და იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილემ, დიდი ბრიტანეთის დედოფლის იურისტმა სერ ჯეფრი ნაისმა. საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, სისხლის სამართლის საქმეებში არსებული მტკიცებულებები ქმნიდა საკმარის სტანდარტს მიხეილ სააკაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

გვინდა, საზოგადოება დავარწმუნოთ, ეს მსგავსი მცდელობები ჩვენს საქმიანობაზე ვერ იმოქმედებს. საქართველოს პროკურატურა გააგრძელებს კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას და პროკურატურის საქმიანობა, დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა სრულად იქნება დაცული საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ფარგლებში. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ოთარ ფარცხალაძის სანქცირების და ამ საკითხთან საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის ირგვლივ მიმდინარე სამართლებრივ რეაგირებას, ოთარ ფარცხალაძის საქმეზე საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, გამოძიება მიმდინარეობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, მათ მიერ მოპოვებულ, მათ შორის უცხოეთის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებიდან გამოთხოვილ მტკიცებულებებს, მიეცემა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება და მასზე მოხდება ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება, რაზეც მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებას.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მომავალშიც ჩვენ შევეცდებით საზოგადოების პროაქტიული ინფორმირებით, დეზინფორმაციის მავნებლური შედეგების მინიმუმამდე შემცირებას. საქართველოს პროკურატურა პასუხს გასცემს ყველა ამ ტიპის ყალბ ბრალდებას და დეზინფორმაციას, რათა საზოგადოებამ იცოდეს ობიექტური სიმართლე“.

**15-დან 18 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნულმა კომისიამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი გავარდაშვილის ხელმძღვანელობით გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საკონსულტაციო სტატუსის ორგანიზაცია ა(ს)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრში კონფერენცია გამართა სახელწოდებით: „ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებები“.**



# „ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებები“

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისა და რისკების მართვის სამოქმედო გეგმის დამუშავება და დანერგვა. მოწყვლადი ინფრასტრუქტურის რისკების შეფასება მოსალოდნელი ბუნებრივი და ანთროპოლოგიური, მათ შორის, ტერორისტული აქტების გათვალისწინებით.

კონფერენცია გახსნა პროექტის ხელმძღვანელმა ბატონმა **გივი გავარდაშვილმა.**

**გივი გავარდაშვილი:**

„მოგეხსენებათ, პროექტი იუნესკოს მონაწილეობის პროგრამის დაფინანსებით ხორციელდება. რას მოიცავს პროექტი? – მოგეხსენებათ, საქართველოში გახშირდა ღვარცოფული და მეწყრული პროცესები, ამის გამო საჭირო გახდა პრევენციული ღონისძიებების უფრო ინტენსიური, ქმედითი და პერმანენტული განხორციელება. ამ მიზნით ეკოცენტრის ინიციატივით, ოთხი თვის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, კონფერენციები ჩავატარეთ ბუნებრივი კატასტროფების კონტროლისათვის სისტემის განთავსებისა და რისკების მართვის მიმართულებით.

გასულ წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით თოვლის ზვავის საწინააღმდეგო ნაგებობა ავაგეთ გუდაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. ახლა ვიწყებთ მუშაობას მთიულეთში თოვლის ზვავების რეგულირებისთვის, რომლის ძირითადი მიმართულება იქნება სამხედრო გზის დაცვა თოვლის ზვავებისგან.

ამ პროექტის ფარგლებში შემდგომი კონფერენცია გვექნება დუშეთში. კარგად მოგეხსენებათ, რომ მდინარე არაგვის წყალშემკრებ აუზში მოსალოდნელია ეროზიული, ღვარცოფული, მეწყრული პროცესები და თოვლის ზვავების საშიშროება, საყურადღებოა ჟინვალის წყალსაცავის ტერიტორიაც.

ალბათ, იცით, რომ აშშ-ში წყალსაცავებს მეორე სახელიც კი დაუმკვიდრეს – „წყლის ბომბები“. ეს სახელი უფრო გამართლდა უკრაინაში, ხერსონის ოლქის დატბორვის შემდეგ, როცა წარმოიშვა ცუნამის ტიპის ტალღა და უდიდესი ზიანი მიაყენა უკრაინის ტერიტორიას. მსგავსი საშიშროებების სალიკვიდაციოდ რისკების შეფასების ახალი მეთოდოლოგია შევიმუშავეთ.

კონფერენციის ფარგლებში ვეწვევით ყვარელს და მიმოვიხილავთ მდინარე დურუჯის კალაპოტის მდგომარეობას.

რა თქმა უნდა, იცით, რომ ჩვენი ინსტიტუტის პროფესორმა მიხეილ გაგოშიძემ საფუძველი ჩაუყარა დურუჯის კალაპოტის მეცნიერულ შესწავლას. ეს ის პატივცემული მეცნიერია, რომელიც გახლდათ აკადემიკოსების ცოტნე მირცხულავას და ოთარ ნათიშვილის მასწავლებელი და ჩვენი ინსტიტუტის პირველი ქართველი დირექტორი.

შემდეგ ჩავალთ თელავში და ვიმუშავებთ თელავის ხევის რეგულირების საკითხებზე.

მერე იქნება ახმეტა და ახმეტის რაიონის სოფელი ოჟიო.

მეცნიერული ინოვაციური გამოცდილებით და ამ გამოცდილებების პრაქტიკაში დანერგვით ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ბუნებრივი კატასტროფებისგან მისი პროგნოზირებისა და რისკების გამოთვლა-რეგულაციით.

ესაა ჩვენი კონფერენციის მიზანი“.

კონფერენციას 50-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა. ღვაწლმოსილი და დამსახურებული მეცნიერების გვერდით იყვნენ ახალგაზრდა მკვლევარები, მონათესავე სპეციალობების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა,** ბატონმა **თამაზ შილაკაძემ:**

– „მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ ამ მეტად საჭირო და საინტერესო პროექტში. მიმაჩნია, რომ დროული და აუცილებელია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება ჩვენს ქვეყანაში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო „მდიდარია“ მეწყერსაშიში და ღვარცოფული რისკებით გამორჩეული ტერიტორიებით.

მივესალმები კონფერენციის მონაწილეებს. წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო“.

**ნოე ხოზრევანიძე, პროფესორი, ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანი:** – ჩვენი ქვეყნის შემდგომი სასიცოცხლო აუცილებლობიდან გამომდინარე პრინციპული მნიშვნელობა აქვს დღევანდელ დღეს და აქ წარმოდგენილ თემატიკას, რამეთუ ჩვენი ფაკულტეტი თემატური რეალობიდან გამომდინარე მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ინსტიტუტთან. ნებისმიერ დროს გვიგულეთ თქვენ გვერდით. შევეცდებით მონაწილეობა მივიღოთ როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში დაგეგმილ ღონისძიებებში. წარმატებებს გისურვებთ“.

**ვახტანგ კვარაცხელია, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი:**

– ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა სახელით მივესალმები თქვენს ინსტიტუტს და ამ მეტად საჭირო კონფერენციას. ვითვალისწინებთ ჩვენი სამეცნიერო თანამშრომლობის ისტორიას და მხარში დაგიდგებით ყველა პრობლემაში, რაც ქვეყანაში ამ მიმართულებით წარმოიშობა. ჩვენთვის დიდი პატივია ამ კონფერენციაში მონაწილეობა, გისურვებთ წარმატებებს“.

**რობერტ დიაკონიძე, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბუნებრივი საფრთხეებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:** – ძალიან გამწვავდა სიტუაცია ბუნებრივ საფრთხეებთან დაკავშირებით. ასეთ შეკრებები დროული და აუცილებელია. ინსტიტუტმა ამ მიმართულებით ბევრი შრომა გასწია და მიიღო კიდევაც შედეგები. განხორციელდა პროექტები, რომლებიც დანერგილია უკვე პრაქტიკაში. ჩვენი ინსტიტუტის მიერ შექმნილმა და დამონტაჟებულმა ნაგებობებმა საქართველოს ტერიტორიაზე შესანიშნავად იმუშავეს, რამაც დაადასტურა, რომ აუცილებელია დროული ჩარევა, თორემ, როგორც დავინახეთ, სახეზე გვაქვს სავალალო შედეგები. ისეთი მდინარეებიც კი, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ ღვარცოფული ხასიათით, შეიძინეს კატასტროფული თვისებები. აბსოლუტურად შეიცვალა მონაცემები, ამიტომ პირადად მე ვერ ვენდობი გასული წლების მონაცემებს, რომლებიც თითქმის 20% არის აცდენილი დღევანდელ რეალობას. მივესალმები კონფერენციის ინიციატივებს, კოლეგებს, სტუმრებს“.

**ილია ხურციძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენელი** – „ჩვენი ძირითადი საქმიანობა არის მოსახლეობის უსაფრთხოება და დაცვა. მიმაჩნია, რომ აუცილებელია მეცნიერული კვლევების საფუძველზე სპეციალური კონსტრუქციების შექმნა. ჩვენი სამსახური თქვენს გვერდითაა... მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ ამ კონფერენციაში.“

სტუმართა შორის იყვნენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **ზურაბ კაკულია,** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენელი **ელიკო ოდიკაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამოქალაქო სამსახურის თანამშრომელი **ხატია ჩხეტიანი,** შპს „მომავლის ტექნოლოგიის“ წარმომადგენელი **დავით ჯორბენაძე,** თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **ვაჟა ტრაპაიძე,** თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტიდან, ბატონი **გიორგი ლომინაძე** და სხვები.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ინსიტუტისა და გარემოს დაცვის ეკოცენტრის მიერ შემუშავებული საცნობარო მასალა 8 წიგნად.

პირველი წიგნი მოიცავს „მოწყვლადი ინფრასტრუქტურის რისკების შეფასებას კრიტიკული მდგომარეობისა და რისკების პორტფოლიოს ანალიზის (GAPRA) მოდელის გამოყენებით“, მეორე –„ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟი“, მესამე – „ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებები“, მეოთხე – „თოვლის ზვავების საწინააღმდეგო ინოვაციური კონსტრუქცია (საქართველოს პატენტი №278), მეხუთე – „გარემოსდამცავი ინოვაციური კონსტრუქციები“, მეექვსე – „ქალაქ ყვარლის მოსახლეობის უსაფრთხოება წყალდიდობებისა და ღვარცოფებისაგან“, მეშვიდე – „სოფელ ჯვარბოსლის მოსახლეობის უსაფრთხოება ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების დროს“, მერვე – „თელავის მოსახლეობის უსაფრთხოება წყალდიდობებისა და ღვარცოფების დროს“.

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს მდინარე ვერესა და თბილისის ზღვის აკვატორია.

* * *

**პროექტის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა გივი გავარდაშვილმა დედაქალაქის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან, უნივერსიტეტებიდან და რეგიონებიდან მოწვეულ სპეციალისტებსა და სხვა მონაწილეებს გააცნო მდინარე ვერეს კალაპოტი და იქ განთავსებული გარემოს დამცავი ნაგებობები, ასევე, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის წყალმიმღები ნაგებობის მუშაობა, თბილისის ზღვის აკვატორიიდან ფილტრაციული წყლის ნაკადების საფრთხეები, რომლებიც საფრთხეს უქადის სამოქალაქო მშენებლობის ობიექტებს ვარკეთილში, ვაზისუბანსა და მესამე მასივში.**

**კონფერენციის შესახებ გარემოს დაცვის ეკოცენტრის ანგარიში გაიგზავნება იუნესკოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაში, ქალაქ პარიზში.**

**ირანდა კალანდაძე.**



კონფერენციის მონაწილენი ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში.

# რუსეთმა ატომური იარაღის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო!..

**ისტორია გვიდასტურებს, რომ ომების უმეტესობა მოსალოდნელზე მეტხანს გრძელდება. როგორც ჩანს, ასეთივე ბედი ერგო რუსეთ-უკრაინის ომსაც. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ უკრაინაში გრძელვადიანი ომია მოსალოდნელი, თუმცა ომის დასრულებისა და უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში, უდავოა, რომ საბოლოოდ უკრაინა NATO-ში გაწევრდება. იენს სტოლტენბერგის განცხადებით, თუ პრეზიდენტი ზელენსკი და უკრაინელები შეწყვეტენ ბრძოლას, მათი ქვეყანა აღარ იარსებებს, მაგრამ თუ პრეზიდენტი პუტინი და რუსეთი დადებენ იარაღს, სტოლტენბერგის განცხადებით, ნატოს მშვიდობა ექნება.**



ვითარება კი უმძიმესია. იზრდება აგრესიული რიტორიკაც. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, **სერგეი ლავროვი** აცხადებს, რომ უკრაინაში ომს რუსეთის წინააღმდეგ არა უკრაინა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებს, რომელიც ლავროვის – მტკიცებით, უკრაინას აწვდის იარაღს, საბრძოლო მასალას და თანამგზავრებიდან მონაცემებს. **„ამერიკა ჩვენს წინააღმდეგ ომს აწარმოებს“,** – განაცხადა **სერგეი ლავროვმა.**

რუსი დიპლომატის ამ სკანდალურ განცხადებას, ჯერჯერობით თეთრი სახლი უკომენტაროდ ტოვებს, თუმცა ომის საფრთხე იზრდება და არ არის გამორიცხული უკრაინის საზღვრებს გასცდეს. ფინეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ მსოფლიო ძალიან მგრძნობიარე სიტუაციაშია, წვრილმანმაც კი შეიძლება შეცვალოს ვითარება, რადგან, ბირთვული იარაღის გამოყენების რისკი უზარმაზარია. **საული ნიინისტოს** განცხადებით, ომი უკრაინაში დიდხანს გაგრძელდება და შესაძლებელია, მოვლენები მოულოდნელი გზით განვითარდეს, მათ შორის ბირთვული იარაღის გამოყენების თვალსაზრისით.

**„ბირთვული იარაღის გამოყენების რისკი უზარმაზარია. ეს გაფრთხილება ნაწილობრივ პასუხია მათ მიმართ, ვინც უკრაინისთვის შორ მანძილზე მოქმედი რაკეტებისა და დრონების მიწოდებასთან დაკავშირებით, აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენისა და გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის პოლიტიკას აკრიტიკებს და ზედმეტად ფრთხილს უწოდებს. არსებობს განსხვავება მათ შორის, ვისაც პასუხისმგებლობა აქვს და ვისაც არ აქვს. მინდა აღვნიშნო, რომ თუ იქნება ესკალაცია დიდ ომამდე, ეს იქნება მსოფლიო ომი და ბირთვული რისკი უფრო დიდი გახდება“, –** განაცხადა ფინეთის პრეზიდენტმა.

ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე რომ რეალურია, ამის შესახებ საუბრობენ რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები, რომელთა განცხადებით, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში უკვე 70%-ით მიღებულია გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ატომურ იარაღს გამოიყენებს. მეტიც, სამიზნე ტერიტორიად სახელდება ზაპოროჟიეს ოლქი. საფრთხე, რომ რეალურია ამის შესახებ საუბრობს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი,** რომლის განცხადებით, ღია წყაროში კეთდება განცხადება ატომური იარაღის გამოყენების ალბათობაზე და, პრაქტიკულად, ეს არის მათი სტრატეგიული გეგმების გაჟღერება.

**„ეს იმას ნიშნავს, რომ ნატოს სტრატეგიაში ზის ომის განგრძნობადი ხასიათი. გარდა იმისა, რომ ომს აქვს კონკრეტული მიზანი – რუსეთის ფედერაციის დამარცხება და დასუსტება, ასევე არსებობს სხვა მნიშვნელოვანი მიზნები, რომელზეც არაერთხელ გვისაუბრია ჩვენ, ეს არის სამხედრო და ფინანსური წრეების ინტერესების დაკმაყოფილება. ამიტომ, რახან ხანგრძლივი ომი არის ნატოს სტრატეგიაში, ეს ნიშნავს იმას, რომ სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები გააგრძელებენ გარკვეული და შეიძლება მაღალი დონის სამხედრო დონის დახმარებას უკრაინისთვის.**

**არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ არც რუსეთი ზის გულზე ხელებდაკრეფილი და ისიც ასეთ გზებს ეძებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის სტრატეგიული მონახაზი, რაც გააჩნია ნატოს, რა თქმა უნდა, ცნობილია რუსეთისთვის. გააქტიურებულია სადაზვერვო აქტივობები რუსეთსა და აშშ-ს შორის, ეს არის ორი მნიშვნელოვანი სახელმწიფო, რომელთაც მაღალი დონის კოსმოსური დაზვერვაც გააჩნიათ და ისინი, პრაქტიკულად, მასშტაბური დონის ინფორმაციას ფლობენ ერთმანეთთან დაკავშირებით.**

**აქედან გამომდინარე, თუ რეალურად რუსეთი შეხედავს იმას, რომ მის სტრატეგიულ ინტერესებში ომის გაგრძელება უკვე არ შედის და შესაძლებელია დამარცხდეს, რაც ხელისუფლებისთვის იქნება ძალიან ცუდი, ამ ცუდი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ შანსად რჩება ის, რომ გამოიყენოს ატომური იარაღი, რომელზეც არაერთხელ იყო საუბარი და რომლის ვარაუდი არაერთმა ექსპერტმა გამოთქვა და მათ შორის ოფიციალური წყაროებით ეს ინფორმაციები გავრცელდა“,** – აცხადებს კუხალაშვილი.

შესაბამისად, როგორც კუხალაშვილი აცხადებს, დიდი ალბათობით, შერჩეულია კონკრეტული სამიზნე ტერიტორიები და თუ ატომური იარაღი იქნა გამოყენებული, ეს იქნება მსოფლიოსთვის უმძიმესი, მათ შორის ეკოლოგიური ვითარების კუთხითაც.

**„შედეგებზე არ მინდა ვისაუბრო. ეს გამოიწვევს უმძიმეს შედეგებს და თუ საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ დარჩა ვინმე საღად მოაზროვნე, მათ ეს კონფლიქტები უნდა შეაჩერონ. თუმცა, ცხადია ისიც, რომ საერთაშორისო ძალები პირდაპირ მონაწილეობენ ამ კონფლიქტში, რადგან მათ აქვთ თავიანთი დაინტერესება.**

**ჯერჯერობით ამ გადაწყვეტილების მიღების პიკი არ დამდგარა, მაგრამ სადღაც ახლოს ვართ ამ უმძიმეს გადაწყვეტილებასთან და რაც უფრო ახლოს მივუახლოვდებით, უკვე უნდა იფიქრონ იმ ძალებმა, რომლებიც ამ საომარი მოქმედების გაგრძელებას კიდევ უფრო პროვოცირებენ, რა შედეგი მოჰყვება ატომური იარაღის გამოყენებას, რომლის საფრთხეც მზარდია“,** – აღნიშნა **დავით კუხალაშვილმა.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ რაც დრო გადის, პროგნოზი მით უფრო ძნელდება. ომის დასაწყისში ყველა და მათ შორის თავადაც გამორიცხავდა რუსეთის მხრიდან ატომური იარაღის გამოყენების ალბათობას, მაგრამ, რაც დრო გადის, ცხადი ხდება, რომ არაფერი არაა გამორიცხული.

**„ავიღოთ თვითონ უკრაინა – უკრაინისთვის გაჩნდა საკითხების რიგი, რაც მკაფიოდ ჩანს უკრაინის გულშემატკივარ ანალიტიკოსებში – დავუშვათ, უკრაინამ მიაღწია მიზანს და გარეკა რუსები თავისი ტერიტორიიდან, დადგება ეს რუსეთი თავის ტერიტორიაზე და იქიდან გააგრძელებს ომს. ზელენსკიმ იჩივლა კიდეც, რატომ არ მაძლევთ იმის საშუალებას, რომ შორს მტყორცნი იარაღით გადავიდე რუსეთის ტერიტორიაზეო. ამერიკას კი არ უნდა ომის პროცესი გადავიდეს რუსეთის ტერიტორიაზე, რადგან მაშინ უფრო რთული იქნება ბევრი რამე.**

**რჩება ევროპა, რომელსაც უნდა ომი შეაჩეროს, მაგრამ მას არავინ ეკითხება, პირიქით, აიძულებენ მისცეს უკრაინას იარაღი და ფინანსური დახმარება. მაგრამ, დგება საკითხი, ვინ არის დაინტერესებული მშვიდობით? ომით ვინ არის დაინტერესებული ეს კარგად ჩანს, მაგრამ ვინც დაინტერესებულია იმაში, რომ დასრულდეს ომი და დადგეს მშვიდობა, რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ეს სისხლიანი პროცესი გასაჩერებელია“,** – აცხადებს For.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძე.**

**თამთა ქარჩავა**

# გამოიყვანს სომხეთი წონასწორობიდან პუტინს?!

**არასოდეს არ გვეპარებოდა ეჭვი რუსულ-სომხურ ურთიერთობათა ორგანულობასა და სიმტკიცეში, მაგრამ დღევანდელ გეოპოლიტიკურ სინამდვილესა და პერსპექტივაზე ნამდვილად არ ღირს თავის დადება. რამდენიმე დღის წინ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სომხეთის ელჩი დაიბარეს და პროტესტის ნოტა გადასცეს, რაც უპრეცედენტო დიპლომატიური სვლა იყო ორ ქვეყანას შორის მანამდე არსებულ ტაქტიკურ-სტრატეგიულ ურთიერთობათა ფონზე.**




ერთი სიტყვით, რუსულ-სომხურ მეგობრულ კავშირს წყალი შეუდგა. ურთიერთობა 2020 წლის ყარაბაღის ომის დროს დაიძაბა. მაშინ, რუსეთს ხელი არ გაუნძრევია კონფლიქტის აღსაკვეთად. უფრო მეტიც, სომხეთი აიძულა, აზერბაიჯანთან მისთვის არასახარბიელო ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი, რაც სომხებმა ღალატად მიიჩნიეს. თვალშისაცემი იყო აზერბაიჯანის მიმართ თურქეთის დაუფარავი დახმარებაც. სომხურ პოლიტიკურ აზროვნებაში შეთქმულების თეორიებმა იმრავლა, აქაოდა, რუსეთმა ყარაბაღი თურქეთს მიჰყიდაო. ახლა, ყარაბაღელი სომხების მდგომარეობა სავალალოა. აზერბაიჯანმა ყარაბაღიდან სომხეთში მიმავალი ერთადერთი გზა, ლაჩინის დერეფანი, გადაკეტა, რამაც, როგორც იქაური სომხური მოსახლეობა ამბობს, ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. რუსეთის სამშვიდობო ძალები ამჯერადაც პასიურობენ.

**აზერბაიჯანის ხელისუფლება სომხეთისგან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას თხოულობს, რომლის მიხედვით, აზერბაიჯანისთვის ყარაბაღის გადაცემა ოფიციალურად დაკანონდება. შესაბამისად, განაწყენებულმა სომხეთმა დასავლეთს მიაპყრო მზერა. სომხეთის ლიდერმა, ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ მხოლოდ რუსეთზე, როგორც სუვერენიტეტის გარანტზე დაყრდნობა, სომხეთის შეცდომა იყო. ახლა სომხეთის მთავრობა ცდილობს, პროცესში დასავლეთი ჩართოს და რუსეთისგან თავი შორს დაიჭიროს. შარშან, მაგალითად, ფაშინიანის განკარგულებით, ოდეკაბეს წევრი ქვეყნების ჯარების წვრთნაში, სომხებმა მონაწილეობა არ მიიღეს, და ელჩიც გაიწვიეს ალიანსიდან. რუსულ-სომხური ურთიერთობა სომხეთის სახელწიფოს მიერ ამ ბოლო დროს გადადგმულმა ნაბიჯებმა კიდევ უფრო გაამწვავა: სომხეთმა ჰააგის სასამართლოს რომის სტატუტის მიერთებაზე თანხმობა განაცხადა, რითაც რუსეთის პრეზიდენტის სომხეთში ჩასვლის შეუძლებლობას გაუსვა ხაზი. შეგახსენებთ, ჰააგის სასამართლოს ორდერი აქვს გაცემული ვლადიმირ პუტინის დაპატიმრებაზე. მიმდინარე თვეში, სომხეთის შეიარაღებული ძალები, ამერიკის სამხედრო ნაწილებთან ერთად, წვრთნებში მიიღებენ მონაწილეობას.**

სომხეთი დღემდე ოდეკაბეს წევრია, და ნატოს ჯართან ერთად წვრთნების ჩატარება, სულ ცოტა, უცნაურია, რადგან, წვრთნების მიზანი, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამერიკასთან სომხეთის დაახლოებაა. მეორე მხრივ, სომხეთი, ოდეკაბეს ქვეყნებიდან, პირველი არ არის, რომელიც ამერიკასთან ერთად წვრთნებს ჩაატარებს. ტაჯიკეთმა ასეთი წვრთნები, ერთხელ უკვე, მოაწყო, მაგრამ სომხეთის ამბავი, ტაჯიკეთისგან განსხვავებით, უფრო თვალშისაცემია. თითქოს, სომხეთი ცდილობს, რუსეთი წონასწორობიდან გამოიყვანოს. სომხეთის მთავრობის სხვა საქციელიც მიიჩნია რუსეთმა, როგორც მტრული განწყობის გამოვლენა. მაგალითად, ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა უკრაინაში და სომხეთის პირველი ლედის სურვილი, ჩავიდეს კიევში.

**სწორედ, რუსეთის გამაღიზიანებელი ამ ფაქტების გამო დაიბარეს სომხეთის ელჩი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ანალიტიკოსები ხმამაღლა ალაპარაკდნენ რუსეთის მიერ სომხეთის დაკარგვის შესაძლებლობაზე, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა, დიმიტრი პესკოვმა, ყველას ცივი წყალი გადაასხა. მისი აზრით, რუსეთისა და სომხეთის დაშორება გამორიცხულია. რუსეთისთვის, სომხეთი სერიოზულ გეოპოლიტიკურ პლაცდარმს წარმოადგენს. ამიერკავკასიაში, მხოლოდ სომხეთის ტერიტორიაზე არსებობს რუსეთის სამხედრო ბაზა. ესაა, რუსეთისთვის უმნიშვნელოვანესი გიუმრის ბაზა.**

**ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაც მტკიცე და სარფიანია, რომელმაც, შარშან, ხუთი მილიარდი დოლარი შეადგინა. მიმდინარე წელს კი, შესაძლოა, შვიდ მილიარდ დოლარს გადააჭარბოს. მოკლედ, სომხეთი გამოუვალ მდგომარეობაშია: რუსეთი არც სომხეთის სუვერენიტეტის გარანტის როლს ასრულებს, და არც წასვლას აპირებს სომხეთიდან.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
POSTV

# ზუბის დიდი მოამაგე მურმან ჩაკვეტაძე



**ლეჩხუმის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, რომელსაც ზუბი ჰქვია, ცხოვრობს ერთი წარმოსადეგი, სტუმართმოყვარე, ლიდერობის, თავკაცობის ნიჭით გამორჩეული, სოფლის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, ოჯახის მოსიყვარულე, მრავალშვილიანი (ოთხი შვილი, შვიდი შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი) მამა და ბაბუა მურმან ვასილის ძე ჩაკვეტაძე**

ჩვენ, მისი უახლოესი ნათესავები, მეგობრები და კეთილის მსურველები გულწრფელად გამოვხატავთ უღრმეს სიყვარულსა და პატივისცემას მისდამი, რადგან იგი ჩვენთვის სანიმუშო პიროვნებაა, რომელმაც დღემდე ღირსეულად განვლო სიკეთით აღსავსე სიყვარულით გაჟღენთილი ცხოვრების გზა.

მას, როგორც ქვეყნის ღირსეულ პატრიოტს საოცრად აწუხებს ქვეყნის მომავალი, მისი ბედ-იღბალი, ამიტომაც სადაც ყველაზე მეტად სჭირდება სათაყვანებელ სამშობლოს ყოველთვის იქ დგას, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა და სირთულისა.

იგი შემთხვევით არ გამხდარა სამთავრობო პარტიის „ქართული ოცნების" აქტიური მხარდამჭერი, რომელიც მისი შინაგანი რწმენითა და პატრიოტული სულისკვეთებით მოწოდებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის აღორძინების საქმეში.

მას ბავშვობიდან უყვარს ნ. ბარათაშვილის პოეზია, შთაგონებულია პოეტის მოწოდებით – „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

მისასალმებელია და შესაქები მისი ეროვნული თაოსნობა, როცა იგი დადგა მშობლიური სოფლის აქტივისტთა რიგებში და საერთო ძალისხმევით ააშენეს ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. მან შემოიკრიბა თანასოფლელები, რომლებიც მასთან ერთად დაუღალავად, უანგაროდ შრომობდნენ ღვთის სახლის ასაგებად.

სოფლის მოსახლეობასთან ერთად, იუბილარი უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც სოფელს აღუსრულა საუკუნის ოცნება, დაუფინანსა ნიაღვრით დანგრეული გზების სარემონტო სამუშაოები.

დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლის შუკა-გზების კაპიტალური შეკეთება. გზებზე აგებენ მაღალი გამძლეობის ბეტონის საფარს, აწესრიგებენ ინფრასტრუქტურას, რაც მაღალმთიან, დადიანისეულ სოფელ ზუბს განახლებულ იერსახეს მისცემს. ასეთი პროექტების განხორციელებას სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები უმჯობესდება, მცირდება მიგრაცია, ხალხი რჩება თავიანთ მამაპაპისეულ მიწაწყალზე და ქმნის დოვლათს.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ბ-ნ მურმანს რვა ათეული წლის სიმძიმე აწევს მხრებზე. ღვთის წყალობით, იგი დღესაც „სპორტულად" გამოიყურება და უწინდელივით ვერცხლისწყალივით მოძრაობს. შესანიშნავად უვლის წინაპრების მიერ დატოვებულ საკარმიდამოს, ბაღ-ვენახს და საკმარისი ოდენობის სოფლის ნობათსაც იმკის.

ბატონო მურმან! სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. გისურვებთ თქვენ და თქვენს საყვარელ მეუღლეს ქალბატონ გუგულის ჯანის სიმხნევეს და მშვიდობიან ცხოვრებას შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

გფარავდეთ უფლის ძალა და დაგიცვათ ყოვლისა განსაცდელისაგან.

დაე, მუდამ განუზომელ სიხარულს განიჭებდეს ასხის მთის ლურჯი ლაჟვარდი და მისი ცისკრის განთიადი.

**დიდი სიყვარულით –**

**ეთერ და კახა ყურაშვილები, ამბერკი და თენგიზ ტაბიძეები, ვალერი და სანდრო ასათიანები, იუზა, სოზარ და შიო ომანიძეები, მიხეილ, ჯემალ, გიზო, მაგული, ქეთევან, ლაშა, გოჩა, ლევან და დავით კუხალაშვილები.**

# იაქტიურეთ, ავარიული ბინების მეპატრონეებო!



დედაქალაქის მერი **კახა კალაძე** თავის მოადგილესთან, ირაკლი ბენდელიანთან ერთად „ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის" ფარგლებში დაწყებულ მორიგ პროექტს გაეცნო.

სამგორის რაიონში, კერძოდ, კალოუბნის №18-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი უკვე დაწყებულია და 30 თვეში ამჟამად ქირით უზრუნველყოფილი 29 ოჯახი ახალაშენებულ სახლში, გარემონტებული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდება.

**„დედაქალაქში, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ავარიული შენობა-ნაგებობა გვაქვს, რომელთაც ავარიულობის სხვადასხვა კატეგორია აქვთ მინიჭებული. დედაქალაქის მერიამ წარმოადგინა პროგრამა, რომელიც ჩვენი საარჩევნო დაპირება იყო – ავარიული კორპუსების ჩანაცვლება. ძალიან მიხარია, რომ აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები და მოსახლეობასთან შეთანხმება. ამ კონკრეტულ პროექტს შეგვიძლია დავარქვათ საპილოტე, თუმცა ეს არ არის პირველი პროექტი, რომლის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. აქ დაკმაყოფილებული იქნება დაახლოებით 29 ოჯახი, რომელიც დღეს ქირითაა უზრუნველყოფილი მერიის მიერ. უკვე 30 თვეში მათ ჩაბარდებათ ახალაშენებული კორპუსი, ქართული არქიტექტურით, მათი საცხოვრებელი ფართები იქნება გარემონტებული და ყოველმხრივ მოწესრიგებული.**

**მინდა, მივმართო თბილისის მოსახლეობას, იმ ოჯახებს, ვინც ავარიულ კორპუსებში ცხოვრობენ – იაქტიურეთ, მიმართეთ თქვენივე რაიონის გამგეობას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია ზედმეტი ფართების მოთხოვნის შემთხვევები, რის გამოც იბლოკება ბევრი პროექტი. სამწუხაროდ, მერიას არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თუ ადამიანი, პირობითად, ცხოვრობს 50 კვადრატულ მეტრ ფართში, მივცეთ 70 ან მეტი. რა ფართისაცაა თქვენი ბინა, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ იგივე ფართი გადმოგცეთ, იმ განსხვავებით, რომ ის იქნება ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსში და გარემონტებული"**, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

# გერმანია ქართული ღვინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია ევროპაში



**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations" ორგანიზებით, საქართველოს გერმანიიდან ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები, ინფლუენსერები და ბლოგერები სტუმრობდნენ.**

ტურების ფარგლებში, სტუმრები კახეთსა და ქართლში, ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებში იმყოფებოდნენ, სადაც ქართულ ღვინოებს და ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს გაეცნენ. ტურის მონაწილეების შთაბეჭდილებები და შეფასებები გერმანულ გამოცემებსა და სხვადასხვა ბლოგზე ვრცელდება, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ბაზრებზე.

გერმანია ევროპაში ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა, რომელიც გამოიკვეთა როგორც ქართული ღვინის ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარი.

ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, გერმანულ მარკეტინგულ კომპანიასთან „ ff.k Public Relations" ღვინის ეროვნულმა სააგენტომ თანამშრომლობა 2021 წლიდან დაიწყო და მიმდინარე წელსაც აქტიური ღონისძიებებით გრძელდება.

# „ზუგდიდობა 2023"

**„ზუგდიდობა 2023" გრანდიოზული კონცერტითა და საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონიალით დაიხურა. „საპატიო ზუგდიდელის" წოდება მიენიჭათ: გივი სოსელიას, პეტრე უბერს, ნუგზარ მალაშხიას, გურამ გუნავასა და რევაზ პაპუაშვილს.**



გალა კონცერტზე ნანი ბრეგვაძემ, ეკა მამალაძემ და ნატალია ქუთათელაძემ იმღერეს, მაყურებლის წინაშე წარდგნენ „სუხიშვილები".

„ზუგდიდობა 2023"-ის სადღესასწაულო დღეების ფარგლებში, ზუგდიდში არაერთი ღონისძიება გაიმართა. მათ შორის ზუგდიდის კლასიკური მუსიკის ფესტივალი, წიგნის პრეზენტაცია, ფოტოგამოფენა, ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რეწვის ოსტატთა გამოფენა-გაყიდვა, უფლისწულ ნიკოს ვახშმის სტილიზებული წარმოდგენა. ბოტანიკურ ბაღში გამართულ ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, ზუგდიდის მერი მამუკა წოწერია, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ჩიქოვანი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# „გამომყევი აჭარაში"

**შიდა ტურიზმის სტიმულირების სარეკლამო კამპანია „გამომყევი აჭარაში" აქტიურად მიმდინარეობს.** კამპანიის ფარგლებში აჭარის ტურისტული ადგილებისა და მიმართულებების შესახებ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ კონტენს 20 მილიონზე მეტი წვდომა აქვს. ამ ეტაპზე, პროექტში 50-მდე მონაწილეა რეგისტრირებული.

**სარეკლამო კამპანია „გამომყევი აჭარაში" 15 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ის ქართველ ბლოგერებს, მოგზაურებს, ინფლუენსერებს, ფოტოგრაფ/ვიდეოგრაფებს, ცნობილ სახეებს საშუალებას აძლევს იმოგზაურონ აჭარაში და მოიგონ კამპანიის მთავარი პრიზი 100, 000 ლარი. კამპანიის მიზანი აჭარის, როგორც მიმზიდველი, მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების პოპულარიზაცია და ქართველი ბლოგერ/ინფლუენსერების ჩართულობით შიდა ტურიზმის სტიმულირებაა.**



ხალიჩაზე

# გამყრელიძის ვერცხლი




**სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ვლადიმერ გამყრელიძემ ვერცხლის მედალი მოიხვეჭა.**

79 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ქართველი რუსეთის წარმომადგენელ ახმედ უსმანოვთან 1:4 დამარცხდა, რის შედეგადაც მეორე ადგილს დასჯერდა. გამყრელიძემ ფინალამდე ლატვიელი ალანს ამიროვსკი (8:0), ყაზახი ბოლატ საკაიევი (8:2) და უკრაინელი ვასილ მიხაილოვი (10:4) დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ გამყრელიძემ მისთვის სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატზე შეძლო ვერცხლის მოპოვება.

ბრინჯაოს მედლის შანსი ჰქონდა მირიან მაისურაძეს (92 კგ), მაგრამ თურქ ფეიზულაჰ აქთურქთან 3:5 წააგო. მირიანი ბრძოლის დასრულებამდე 19 წამით ადრე დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და უმედლოდ დარჩა.

საქართველოს ნაკრების აქტივში ამ დროისთვის ორი ვერცხლის (გენო პეტრიაშვილი, ვლადიმერ გამყრელიძე) და ერთი ბრინჯაოს მედალია (შოთა ფარტენაძე).

ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს კიდევ აქვს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველომ ოქროს მედლის გარეშე დაასრულა. ბრინჯაოსთვის გივი მაჭარაშვილი იჭიდავებს.

ტიტული

# ოქრო სასროლეთიდან

**ოსიეკში (ხორვატეთი), სადაც სასტენდო სროლაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს მასპინძლობენ, შედეგიანად გამოვიდა საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრი ელიზავეტა ბოიარშინოვა – ჩვენმა მსროლელმა მრგვალ სტენდზე სროლაში ჩემპიონობა მოიპოვა.**

ბოიარშინოვამ ფინალურ დამატებით სერიაში 2:1 აჯობა სლოვაკ მიროსლავა ჰოკოვას და ოქროს მედალს დაეუფლა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მსროლელმა თავიდან ბედიზედ 26 გასროლა უშეცდომოდ შეასრულა, 60 გასროლის შემდეგ კი მას და სლოვაკეთის წარმომადგენელს 53-53 ქულა დაუგროვდათ. დამატებით სერიაში უკეთესი ბოიარშინოვა აღმოჩნდა – მან ორივე ტყვია მიზანში მოარტყა, სლოვაკმა კი ერთი გასროლა სამიზნეს ააცილა. 43 ქულით მესამე ადგილზე გავიდა ბრიტანელი მადელინ ზარინა რუსელი.



# საფეხბურთო მოზაიკა

ბრატისლავის „სლოვანის“ მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ ვაისმა ჯაბა კანკავა** შეაქო და თქვა, რომ ის მისთვის და „სლოვანისთვის“ იბრძვის, თუმცა, სურს, რომ მისმა თანაგუნდელებმაც ჯაბას დონეზე ითამაშონ.

**„სახელებს არ დავასახელებ, შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ ჩვენ ორთაბრძოლებში უბრალოდ ვაგვიანებთ. ასე ვიტყვი, ნორმალური არ არის, რომ ჩვენი საუკეთესო მოთამაშე მაინც ჯაბა კანკავაა.**

**ის გულით და ემოციით თამაშობს, მას გამოვყოფ, რადგან ამას იმსახურებს. წარმოუდგენელია, თუ როგორ იბრძვის კლუბისთვის და ჩემთვის, თუმცა, სხვებიც მის დონეზე თუ არ ითამაშებენ. დავმარცხდებით“,** – თქვა ვაისმა.

შეგახსენებთ, რომ „სლოვანს“ სლოვაკეთის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში 5 ტურში 8 ქულა აქვს მოპოვებული.

* * *

იტალიელმა ჟურნალისტმა **ჯანლუკა ჯიფუნიმ** განაცხადა, რომ რუდი გარსია 4-4-2 სქემით თამაშზე ფიქრობს, **ხვიჩა კვარაცხელიას** კი, ვიქტორ ოსიმენის გვერდით, თავდამსხმელის პოზიციაზე მოიაზრებს.



**„ამჟამად რთულია გუნდში დადებითი ასპექტის პოვნაც კი. ჩემი აზრით, „ნაპოლის“ მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგაა, ამაზე მიანიშნებს მწვრთნელის განცხადებებიც „ჯენოასთან“ მატჩის შემდეგ, როდესაც თქვა, რომ გუნდს ჩემპიონთა ლიგის წინ კონცენტრირება გაუჭირდა.**

**ფიქრობს თუ არა გარსია კვარაცხელიას ნიჭის უკეთ გამოსაყენებლად ტაქტიკურ ალტერნატივებზე? მგონია, რომ მისი იდეაა 4-4-2 სქემით ითამაშოს, სადაც ქართველი ვიქტორ ოსიმენის უკან იმოქმედებს, როგორც თავდამსხმელი. მას აქვს ფეხბურთზე თავისი წარმოდგენა, მაგრამ ამ ეტაპზე მათი გამოყენება პრაქტიკაში ვერ მოახერხა“,** – თქვა ჯიფუნიმ.

* * *

„ბარსელონას“ მთავარმა მწვრთნელმა **ჩავიმ** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის „ანტვერპენთან“ პირველი ტურის მატჩის წინ ჟურნალისტებს აზრი გაუზიარა.

**„დადგა დრო ევროთასებზე წარმატება მოვიპოვოთ და საკუთარი თავის დავიჯეროთ. გვინდა კვლავ გავხდეთ მნიშვნელოვანი კლუბი ევროპაში. ჩვენ ახლა საამისოდ იდეალური იმპულსი გვაქვს .**

**ფეხბურთელები ძალიან მოტივირებულები არიან, მაგრამ ამაზე ვერ შევჩერდებით. უნდა გავაგრძელოთ ისე, როგორც „ბეტისის“ წინააღმდეგ ვითამაშეთ (5:0).**

**როდესაც კლუბში მოვედი, ისეთი განცდა შემექმნა, რომ არ გვქონდა საკმარისი ხარისხი, რათა კონკურენტუნარიანები ვყოფილიყავით. გასულ სეზონში ხარისხიანი ფეხბურთი ვითამაშეთ და ვიბრძოდით, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ. ახლა დროა დავძლიოთ ეს ყველაფერი.“** – ციტირებს ჩავის სიტყვებს The Athletic.

* * *

**„კრემონეზეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დავიდე ბალარდინის დაატოვებინეს. კლუბმა ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა.**

ჯერჯერობით უცნობია ვინ იქნება კრემონელთა ახალი თავკაცი, მაგრამ ლუკა ლოჩოშვილს ახალი მწვრთნელი ეყოლება. იტალიური მედიის ცნობით, სავარაუდოდ, ჯოვანი სტროპა დაინიშნება. „კრემონეზემ“ სერია B-ს 5 ტურში 5 ქულა მოიპოვა, 23 სექტემბერს კი, „ასკოლის“ უმასპინძლებს.

ლუკა ლოჩოშვილმა მიმდინარე სეზონში 3 თამაში ჩაატარა და ბალარდინი მას ძირითადი შემადგენლობის წევრად მოიაზრებდა.

* * *

პსჟ-ის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ენრიკემ** აზრი გამოთქვა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა თავდამსხმელ კილიან მბაპეს ჩემპიონთა ლიგის მოგება პარიზულ კლუბში თამაშისას.

**„ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად დიდი, შეკრული გუნდია საჭირო. არა 11, არამედ ერთდროულად 23 მოთამაშე უნდა იყოს მზად სათამაშოდ, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს ასრულებენ თითოეულ მატჩში.**

**ყველა ერთიანი უნდა იყოს დანარჩენ გუნდთან. მოკრძალება აუცილებელია, რადგან ზოგჯერ მეტოქე შეიძლება შენზე უკეთესი იყოს. სწორედ ასეთი დამოკიდებულებით მიიღწევა დიდი შედეგები.“** – ციტირებს ტვიტერზე ენრიკეს სიტყვებს PSG Report.

მეტოქე

# ამბიციური ფიჯი

**მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების ჯგუფში ფიჯის ნაკრებმა ავსტრალია დაამარცხა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ოპტიმალურ კონდიციებშია.**



კუნძულელებმა ფავორიტ მეტოქეს ორივე ტაიმში აჯობეს, პირველივე ნახევარში 12:8 დაწინაურდნენ, ხოლო მეორე ტაიმში არათუ შეინარჩუნეს ანგარიში, არამედ უპირატესობა გაზარდეს – გარდასახული ლელო და ჯარიმა დაამატეს მონაგარს და 22:15 იმარჯვეს.

ამრიგად, ფიჯიმ პირველი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფიდან გასვლაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს.

C ჯგუფს უელსი ლიდერობს 10 ქულით, 6-6 ქულა აქვთ ფიჯისა და ავსტრალიას, ხოლო საქართველოს და პორტუგალიას – 0, თუმცა მათ თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული. „ბორჯღალოსნები“ 23 სექტემბერს სწორედ პორტუგალიელებს დაუპირისპირდებიან.

იმავე დღესვე B ჯგუფში სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა რუმინეთი 76:0 გაანადგურა და ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.

ლეგიონერი

# ახალი მწვრთნელი



**„ვირტუს ბოლონიას“, სადაც თორნიკე შენგელია თამაშობს, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – ლუკა ბანკი.**

მან სერჯო სკარიოლო შეცვალა, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო დაითხოვეს. ბანკი პარალელურად ლატვიის ნაკრების მწვრთნელია. მან ლატვია მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიაში პირველად გაიყვანა და სადებიუტო მუნდიალზე ლატვიის ნაკრებმა ისტორიული შედეგი აჩვენა – მეხუთე ადგილზე გავიდა. ლუკა ბანკი კი აწ დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. მან ბოლონიელებთან კონტრაქტი 2025 წლის ზაფხულამდე გააფორმა.

58 წლის იტალიელ სპეციალისტს არაერთგან აქვს ნამუშევარი, მათ შორის „მონტეპასკი სიენაში“, „ოლიმპია მილანოში“, „ბამბერგში“, აევში, „პეზაროსა“ და „სტრასბურგში“.



# შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, დიდებობა

21 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, მარად ქალწული მარიამის შობას.

**...ძე ღვთისამ იმისთვის, რომ ადამის მოდგმა ეხსნა ადამიანური ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლაწმიდა მარიამი გამოარჩია, რომელიც ერთადერთი იყო ადამიანთაგან, ვისაც ღმერთის დატევნა და სიწმინდის წყაროს განხორციელება შეეძლო!**

ქრისტიანთა ამ უდიდეს დღესასწაულს განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვით ხვდებიან დიდუბის ტაძარში, ბეთანიაში, გელათში, შუამთასა და მახათაში.

ტრადიციისამებრ, დიდუბის ღვთისმშობლის შობის ტაძარში მღვდელმსახურნი საჯანმრთელო პარაკლისისას მრევლთან ერთად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლებს და უამრავ მკითხველს ერთად მოიხსენიებენ (ალალ მათ ღვაწლს!).

სრულიად საქართველოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: **„საქართველო, როგორც ეს ღვთისმშობელმა ათონის მთაზე ივერიის მონასტრის ბერს გაბრიელს ეუწყა, გაბრწყინდება, გაბრწყინდება საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომობით..."**

ჩვენც ვუგალობოთ ამ უდიდეს დღესასწაულს: **„შობამან შენმან ღვთისმშობელო ქალწულო სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო".**

**გიული ლიპარტია**

# კიდევ ერთი ტრაგედია



**თბილისში გურამ ქადეიშვილმა ყოფილი ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი თვითმკვლელობა სცადა!**

თბილისში, გვიან ღამით, კაცმა ყოფილი ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი თვითმკვლელობა სცადა. შემთხვევა დოლიძის ქუჩაზე მოხდა.

მკვლელობა არასრულწლოვანი შვილების თვალწინ მოხდა. როგორც ცნობილია, დამნაშავე შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი გურამ ქადეიშვილია! ის ხეჩინაშვილის კლინიკაშია გადაყვანილი და ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა მძიმეა. გამოძიება უკვე დაწყებულია.



**„ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შსს-ს მოქმედმა თანამშრომელმა მისი ყოფილი მეუღლისა და სიდედრის მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა, რის შემდეგაც თავის არეში მიიყენა დაზიანება. ის ამჟამად გადაყვანილია საავადმყოფოში. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება 11პრიმა 109-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას. შემთხვევას შეესწრო გარდაცვლილის ორი არასრულწლოვანი შვილი და კიდევ ერთი პირი"**, – განაცხადა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სამმართველოს უფროსმა, ბაჩანა კვარაცხელიამ.

**ამ შემზარავი მკვლელობის დეტალები ზუსტდება.**

## განცხადება

**2023 წლის 21 ოქტომბერს, დილის 12 საათზე დანიშნულია ს/ს თბილისის „ცენტროლიტის" აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

**1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის არჩევა.**

**სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 20 სექტემბერი.**

**მისამართი: ელ. ანდრონიკაშვილის ქ. №29**

**ადმინისტრაცია**

*პოეზიის ერთი ლექსი*

# არ გაბედო უფლისადმი საყვედური



ძმობილი და თანაც ძველი,
მოდგომია ჭიშკარს,
ვეგებები მასპინძელი,
უკვე ვატყობ:
შესაზარი,
რაღაც უნდა მითხრას!

— დავიქეცით რაჭველები,
ვოი, ბიჭო, დავლო! —
ზემო რაჭა, კერძოდ შოვი
მოუსპია ღვარცოფს!

დაღუპულა ბავშვი, ქალი,
დედა, მამა,
მოხუცი თუ ახალგაზრდა,
გამომხედე, ჩქარა გარეთ გამო!

— გამომყევი, — მოკლედ ვუთხარ,
შევუძეხი მარანში
და უსიტყვოდ ჩამოვასხი
დიდ ჭიქებში არაყი...

მეგობარი მერე მოჰყვა
წუთისოფლის საყვედურს,
ზეცისაკენ იცქირება, -
იქით მყოფებს აბრალებს
ზვავს ჩვენს თავზე დაცემულს...
ეპარება ნაღდად ეჭვი,
რომ ღვთიური სამართალი,
კიდევ სადმე არსებობს!

კვლავ ვარიგებ:
— უფლისადმი არასოდეს
ზედმეტი არ გაბედო! —
ვერ ატყობ, რომ
ცხოვრებაა იმდაგვარი,
ეს მსოფლიო —
ურწმუნო და უდარდელი,
დღეს თუ არა,
ხვალე მაინც,
წარღვნამ უნდა წალეკოს?!

ვერ ვარწმუნებ,
ჯიბრიანად მეკითხება:
ჩიტს ბუმბული
არ გასძვრება უჩემოდო! —
ვინ თქვა?
ხმა, კრინტი არ გამაგონო,
მე თვითონვე გიპასუხებ —
მხოლოდ ერთმა,
მხოლოდ მამა ღმერთმა!

— ბიჭო, ვაჟა,
ხომ გითხარი — არ გაბედო
უფლისადმი საყვედური, —
ვეუბნები დარდით, —
ღალატია მაღლაც, დაბლაც,
ეშმაკუნა ფეხაკრეფით,
ჯერჯერობით,
ნება-ნება დადის!

თავის დროზე მეამბოხემ,
გაიყოლა ძირს დაცემულ
ანგელოზთა გუნდი,
შავ-ბნელ საქმეს,
შოვს რომ მოხდა,
მათი სუნი უდის!

შემიყვირა:
— რის თქმა გინდა,
ღმერთსაც უჭირს? —
სამუდამოდ მოგვტეხია
მარჩენალი მაჯა,
მეტსაც გეტყვი —
ალბათ, გახსოვს, —
ხერხემალი გადაგვეხსნა
მიწისძვრებით,
აგვიოხრდა საყვარელი რაჭა!

ის ჩორდელი,
მე სხვაველი
ქართვლის შავ დღეს ვტირით,
წუთისოფლის ქარავანი,
მიბრეცილი-მობრეცილი,
ასკინკილით,
მრუდე გზებით მიდის!
მიდისა და მიდის!
მიდის, მიდის, მიდის!

**ჯემალ დავლიანიძე,**
22 აგვისტო, 2023 წ.

# ხე ხენეშისა

**„ხემან ხენეშმან გამოიღოს ხენეში ნაყოფი."**
**ბიბლიიდან**

**ხემან ხენეშმან გამოიღო შხამის ნაყოფი,**
**ჟამი ჩამოდგა უღმერთობის, ყოფნა-არყოფნის,**
**ცა ჩამოიქცა დელგმად, თქეშად, ნგრევის ქარებად**
**და კაცთა მოდგმა არყოფნისკენ მიექანება!**

**ოხვრა და გმინვა დედამიწის არავის ესმის —**
**არადა, როგორ გულსაკლავად მოთქვამს და კვნესის,**
**არავინ უსმენს ყოვლისშემქნელს, არსთა განმრიგეს,**
**ღმერთი ჯვარს აცვეს და იუდა ხურდას არიგებს!**

**უკეთურებამ უღმერთობის დაიდგა ტახტი,**
**რომელზეც უფლის ღვთის მოძულე მასხარა დახტის,**
**სისხლმა და ცრემლმა დედამიწა ლამის დატბორა,**
**ნუთუ სამყაროს თვით სატანა დაეპატრონა?!**

**ირაკლი ვაშაყმაძე**
15 სექტემბერი, 2023 წ.

# ოპერის თეატრმა 172-ე სეზონი გახსნა

**16 სექტემბერს ოპერის თეატრში 172-ე სეზონი ზ. ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“ გაიხსნა. ზღვა მაყურებელს მოეყარა თავი სეზონის გახსნაზე. სპექტაკლს დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ზაზა აზმაიფარაშვილი. დამდგმელი რეჟისორი – გიზო ჟორდანია.**

მთავარ პარტიებს მღეროდნენ:

აბესალომი – **თემურ გუგუშვილი;**

ეთერი – **მაყვარა ასპანიძე;**

მურმანი – **ვახტანგ ჯაშიაშვილი;**

მარიხი – **მარიკა მაჩიტიძე.**



თემურ გუგუშვილის შესრულებულმა არიამ სპექტაკლის მსვლელობის დროს მოულოდნელი ანტრაქტი გამოიწვია – 20 წუთის განმავლობაში მაყურებელი ტაშით აჯილდოვებდა აბესალომის პარტიის უბადლო შემსრულებელს, 72 წლის თემურ გუგუშვილს!

თემურ გუგუშვილს აქვს ლამაზი ტემბრის, სრული დიაპაზონის ხმა, გამოირჩევა მაღალი ვოკალური კულტურით, ამიტომაც იყო, რომ სპექტაკლის განმავლობაში მხურვალე აპლოდისმენტები არ ცხრებოდა, როგორც თემურ გუგუშვილის, ისე მაყვალა ასპანიძის, ვახტანგ ჯაშიაშვილის, მარიკა მაჩიტიძის და სხვა სოლისტების მიმართ.

სპექტაკლის შემდეგ კომენტარი ვთხოვე მარინა მაჭავარიან-ანჯაფარიძეს:

**„არ დაგავიწყდეთ, რომ, მე ზურაბ ანჯაფარიძის პარტია არა ერთხელ მაქვს მოსმენილი, მაგრამ მუხლს ვიდრეკ დღევანდელი აბესალომის მაღალი პროფესიონალიზმის წინაშე, ბატონი თემური თვითონაც არ მალავს ასაკს, მას მგზნებარე ჭაბუკივით ხმაც აქვს, ენერგიაც და ხიბლიც და როდესაც ზურიკოსთვის (მარტო მან იცოდა ეს) მურმანის მიერ ეთერის წაყვანის მზადყოფნაზე საპასუხოდ კი არ დაიყვირა, ჩაიჩურჩულა „შენ?“ მე მივხვდი, რომ ეს ჟესტი იყო ზურიკოს 95 წლის ხსოვნისადმი მიძღვნილი“.**

**ნანა ჭიჭინაძე,**
ოპერის მეგობარი.

# ესპანეთში გამოიცა ნაშრომი „წმინდა იოანე ოქროპირი არმენული დამწერლობის ავტორი“!!!




**წიგნის ავტორები არიან: ზურაბ კაცელაშვილი-ბასილიძე, ლია კაცელაშვილი, მაია კაცელაშვილი** (Zurab Katselashvili Basilidze; Lia Katselashvili y Maia Katselashvili, San Juan Crisųstomo autor del alfabeto armenio, Editorial: viveLibro, Madrid, 2023. ISBN papel: 978-84-19845-34-4 ; Deposito legal: M-23699-2023).

**ნაშრომში შესწავლილია აბატ ლორენსო ჰერვასის (** Lorenzo Hervas Panduro (1735-1809**ძ წიგნში „მსოფლიოს ენათა კატალოგი“** (1778-1787) **არსებული არმენოლოგიაში დღემდე უცნობი ცნობა, რომლის მიხედვითაც არმენული დამწერლობის ავტორია წმ. იოანე ოქროპირი. ამ ცნობის წყაროა ანჯელო როკკას (**Anelo Rocca Camerinus (1545-1620) **ნაშრომი „**Bibliotheca Apostolica Vaticana“ (1591), **რომელშიც მოხსენიებულია წმ. იოანე ოქროპირის ფრესკა ლათინური წარწერით** „Sancto Ioanne Chrysostomo Litterarium Armenicarum Auctor“.

**ნაშრომს ახლავს დანართი „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“: არმენთა და ბასკთა მონათესაობის საკითხი; ბასკების ფიზიონომია ვ. ფ. ჰუმბოლდტის მიხედვით; ბასკური რასა; იბერია და იბერიზმი; კოლხები ილირიაში და მათ მიერ იქ დაარსებული ქალაქები პოლა, ორიკო და ორკინიო; ბაკურ დიდი და ბაკურ მცირე პალესტინა-იერუსალიმის პირველი ქრისტიანი მმართველები; წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის მიზეზი; უცნობი ძველი ქართული საგალობელი „კურთხეულ იყოს“ ბიზანტიურ ლიტურგიაში.**

# ვმასპინძლობთ ჩინური კინოს ფესტივალს

**საქართველოს ეროვნული არქივის კინოთეატრში ჩინური კინოს ფესტივალი გაიხსნა. ფესტივალის პირველ დღეს გაიმართა ფილმის – „სახლში დაბრუნება“ – ჩვენება.**



კინოფესტივალი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, ჩინეთის კინოადმინისტრაციისა და საქართველოს ეროვნული არქივის მხარდაჭერითა და თანამშრომლობით იმართება.



# საქართველო ფრირაიდის მსოფლიო ტურს უმიზნებს

**მთის ტრასების სააგენტოსა (MTA) და სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს ფრირაიდის მიმართულების საერთაშორისო დელეგატები ეწვივნენ. დელეგატებმა მოინახულეს სვანეთი და ადგილზე დაათვალიერეს ის შესაძლო არეალები, სადაც შესაძლებელია თუ არა ჩატარდეს უმაღლესი რანგის, ფრირაიდის მსოფლიო ტური.**

ფრირაიდი ზამთრის სპორტის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც რთულ და მთიან რელიეფზე გაუკვალავ თოვლში სრიალს გულისხმობს, როგორც თხილამურებით, ასევე სნოუბორდით.

საქართველომ კურორტ თეთნულდზე, უკვე ორჯერ უმასპინძლა ფრირაიდის საკვალიფიკაციო ეტაპებს, მასში 20 ქვეყნის 120-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. წარმატებულად ჩატარებულმა ღონისძიებებმა განაპირობა საერთაშორისო ექსპერტების ყურადღება. საქართველო შესაძლოა გახდეს უმაღლესი რანგის, ფრირაიდის მსოფლიო ტურის მასპინძელი ქვეყანა, 6 წამყვან ექსკლუზიურ ქვეყანას შორის. საბოლოო გადაწყვეტილება კი საფრანგეთის ქალაქ ანესში გახდება ცნობილი სექტემბრის ბოლოს, ფრირაიდის ყოველწლიურ ღონისძიებაზე.

# ყველაზე შემოსავლიანი ბიოგრაფიული ფილმი

**რეჟისორ კრისტოფერ ნოლანის ფილმი „ოპენჰაიმერი“, რომელიც პირველი ატომური ბომბის შემქმნელის, რობერტ ოპენჰაიმერის შესახებ მოგვითხრობს, ისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი ბიოგრაფიული სურათი გახდა.**




შემოსავალმა უკვე 912 მილიონ დოლარს გადააჭარბა და გადაუსწრო ფრედი მერკურის შესახებ გადაღებულ ფილმს „ბოჰემური რაფსოდია“ (910 მილიონი).

„ოპენჰაიმერი“ ნოლანის კარიერაში შემოსავლის თვალსაზრისით მესამე ფილმია. პირველ და მეორე ადგილს ამ სიაში „ბეტმენის“ ტრილოგიის ფილმები – „შავი რაინდის აღზევება“ და „შავი რაინდი“ იკავებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04
ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 22 სექტემბერს

**ოფიციალური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6412; ევრო - 2.8271;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2740;
100 რუბლი - 2.7320; თურქული ლირა - 0.0976;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5533;
1000 სომხური დრამი - 6.8311

**ამინდი 20 სექტემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე +23 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +15, | დღე +25 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge